ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 14 იანვარი 1997 №3 (368) ფასი 40 თეთრი

## ბიჭებო, ყველანი თავისუფლები ხართ...

### უთხრა მერაბ ჟორდანიამ დინამოელებს



მიშა მესხის იუბილეზე ჩამოსული ვეტერანი რუსი ფეხბურთელები ცარიოვი, კესარევი და ბუბუკინი „ბერიკონში" გამართულ საღამოზე იცრემლებოდნენ, ვეტერანთა რა დაფასება გცოდნიათ საქართველოში, ნეტავ ეს ყველაფერი გადაგვაღებინა და მოსკოვში გვაჩვენებინა, იქნებ ჩვენთანაც შეიბერტყოს ვინმემ ყური, ლამისაა შიმშილით დაიხოცნონ ძველი ფეხბურთელებიო. იმ საღამოს თაოსანი მერაბ ჟორდანია რამდენიმე საათის დაბრუნებული გახლდათ თურქეთიდან, სადაც ჯამარაულის კონტრაქტის თაობაზე იმყოფებოდა რომან შოთაძესთან ერთად. პირველად სწორედ ჯამარაულის ტრანსფერის შესახებ დავეკითხე.

— მე, რომანი და გოჩა მანქანით ჩავედით სტამბოლში და „ტრაბზონის" ახალ პრეზიდენტს, მულტიმილიონერ მეჰმედ ალი იალმაზს შევხვდით. როგორც აღმოჩნდა, ბედზე ჩავსულვართ, რაკილა იალმაზთან უცებ გამოვნახეთ საერთო ენა და „ტრაბზონში" უკვე მოვარჯიშე ყოფილ სპარტაკელ ვასილი კულკოვთან, რომლის აყვანასაც არაფერი უკლდა, კონტრაქტი გადავაფიქრებინეთ ჯამარაულის სასარგებლოდ. ჩვენთან საუბრის შემდეგ უარი უთხრეს ირანის ეროვნული გუნდის ნაკრების კაპიტანსაც. საბოლოოდ, წელიწადნახევრიან კონტრაქტზე შევთანხმდით, რომელიც თბილისის „დინამოსთვისაც", „ტრაბზონისთვისაც" და თავად გოჩასთვისაც აღმოჩნდა ხელსაყრელი.

**— ადრე მითხარით, ოცამდე ფეხბურთელს სურს წასვლაო. კიდევ რომელიმეს ბედი თუ გაირკვა?**

— დღეისათვის წასულები არიან ჯამარაული, კობიაშვილი და იაშვილი. მალე წავა ანჩაბაძეც. პოლაკს საგანგებოდ ვთხოვე მის თაობაზე და დღე-დღეზე უნდა დამირეკოს. სხვა ფეხბურთელების ბედი გაურკვეველია. ფაქტია, რომ მათ საქართველოში თამაში არ სურთ.

**— ასეთ შემთხვევაში ხომ მათი გაყიდვა სჯობს: კლუბიც ამოისუნთქავს, ფეხბურთელიც ბედს ეწევა, „დინამოს" მწვრთნელიც გაარკვევს, ვისთან იმუშაოს...**

— ტრანსფერზე დაყენებას აზრი არა აქვს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათზე არავითარი მოთხოვნა არ არის. „ტორპედო" კი იყო რეალური, მაგრამ ადრეც მითხარით, რომ განცვიფრებული დავრჩი მათი წინადადებებით: ასე სუპერკლუბს ვერ შექმნი, კაპიკების ფასად სურთ ფეხბურთელთა შეძენაც და შემდგომ მათი უზრუნველყოფაც. ასე არაფერი გამოუვათ. ხომ ნახეთ, ბიჭები უკანვე დაბრუნდნენ. გაყიდვაო, მეუბნებით. აბა, რა უნდა იყოს ამაში ცუდი, მაგრამ მე ამ ბიჭებს ამაგს ვუფასებ — გოგიჩაიშვილი, ლობჟანიძე, ყიზილაშვილი, კერძევაძე, ინალიშვილი, კუდინოვი... მე მათ ვუთხარი, თუ თქვენით ნახავთ კლუბებს, მე ხელს შეგიწყობთ-მეთქი. დღეს გოგიჩაიშვილს და ლობჟანიძეს განთავისუფლების ფურცლები მივეცი. თუ თავისით მონახავენ კლუბებს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ასევე მოვექცევი იმ ფეხბურთელებსაც, რომელთა დამსახურებაც „დინამოს" წინაშე დიდია — ვგულისხმობ ზემოთ ჩამოთვლილებს...

**— რამდენიმე თვის წინ 23 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა საზღვარგარეთ გაშვების აკრძალვის მომხრე იყავით, იაშვილი, კობიაშვილი და გახოკიძე კი სულ ახლახან წავიდნენ უცხოეთში. მაშ რაღა აზრი ჰქონდა აკრძალვას?**

— იაშვილიც და კობიაშვილიც ექვსი თვით არიან მივლინებულნი და, ვფიქრობ, ეს გამართლებული ნაბიჯი იყო, რადგან ჩემპიონთა ლიგისთვის ისინი უფრო კარგად მომზადებულნი დაგვიბრუნდებიან. თანაც, თუ გახსოვთ, აკრძალვა სუსტ საფეხბურთო ქვეყნებსა და კლუბებში მიგრაციაზე ვრცელდებოდა. „ალანიაზე" სუსტს ვერ ვიტყვით, გუნდი მუდამ რუსეთის ჩემპიონობისა და ჩემპიონთა ლიგისთვის იბრძვის. ჩვენ იმას უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი სუსტი ჩემპიონატის ამარა არ დავრჩეთ და მაქსიმალურად მოვახერხოთ უცხოურ ტურნირებში მონაწილეობა და ფეხბურთელთა ამგვარი მივლინებები, თორემ მარტო საქართველოს ჩემპიონატში თამაშით არაფერი გამოვა....

**— კარგა ხანია რევიშვილი „დინამოსთან" ერთად ვარჯიშობს. მის დაბრუნებას ხომ არ აპირებთ?**

— როგორც ყიფიანმა მითხრა, რევიშვილი „დინამოს" ძალზე გამოადგება. ამ დღეებში დავრეკავ გაზაევთან და რევიშვილის საკითხზე დაველაპარაკები. როგორც შევიტყვე, ზაზას ტრანსფერი 100 ათას დოლარადაა შეფასებული.

**— „დინამოს" ოფისში რუსეთში მოთამაშე გიორგი ძნელაძეს — „კაჩუკას" მოვკარი თვალი. მასთანაც ხომ არ აპირებთ დალაპარაკებას?**

— ყიფიანს ჯერჯერობით არაფერი უთქვამს ამის თაობაზე. ისე, ყიფიანმა გეზი გუნდის გაახალგაზრდავებაზე აიღო და მე ამაში მხარს ვუჭერ. თუ კაცს გუნდში თამაში არ უნდა, ძალით ვერ დააკავებ. ზემოთაც გითხარით და გავიმეორებ: თუ „დინამოში" თამაში არ სურთ და თავად მონახავენ კლუბებს, ერთი წუთითაც არ დავახანებ განთავისუფლების ფურცლის მიცემას.

**— მოსკოვში რა შემადგენლობით გაემგზავრებით?**

— დღეს დაგვირეკეს მოსკოვიდან და იმ თვრამეტი ფეხბურთელის სია გვთხოვეს, ესენგეს თასის განაცხადში რომ უნდა შეგვეყვანა. ეს კი ჯერ თავადაც არ ვიცით და ამიტომ ოცდაორი ფეხბურთელის სია გავუგზავნეთ.

**მამუკა ქვარაცხელია**

## იაშვილი 33 საუკეთესო გერმანელში



გუშინ ალექსანდრე იაშვილი ფრანკფურტის რეისს გაჰყვა გერმანიაში. ტრაპთან „ლიუბეკის" მენეჯერი უნდა დახვედროდა და გერმანიის ამ უძველეს, 210 ათასიან ქალაქში უნდა ჩაეყვანა. ლიუბეკი გერმანიის ჩრდილოეთით, შლეზვიგ-ჰოლშტაინის მიწაზე, დანიის საზღვართან ახლოს მდებარეობს. ოდითგანვე ეს ტერიტორია დანია-გერმანიის კამათის საგანი იყო და რამდენიმე ომი და უამრავი მსხვერპლი მოჰყვა. ვნახოთ რა მოჰყვება იაშვილის ჩასვლას. ეს ინტერვიუ კი, ფაქტობრივად, ჩემოდანზე მჯდომ იაშვილთან ავიღე.

— იმ დღეს, ჩვეულებრივ, სავარჯიშოდ მივედი ბაზაზე და უცებ ყიფიანი მეუბნება — რას იზამ, წახვალ, გერმანიაშიო? საერთოდ არ ვიცოდი რა ხდებოდა. თურმე „ლიუბეკის" მენეჯერი ზაზა ბოკერიას მეშვეობით დაკავშირებია „დინამოს" ხელმძღვანელობას...

**— როგორ გგონია, ცოტა ადრე ხომ არ გიწევს უცხოეთში წასვლა?**

— არ მეგონა, ასე ადრე თუ დავტოვებდი საქართველოს. ბევრი ვიფიქრე, ჟორდანიას და ყიფიანსაც ვესაუბრე. მათაც წასვლა მირჩიეს, იქ უფრო ნაყოფიერ ექვს თვეს გაატარებ და ჩემპიონთა ლიგისთვის მომზადებული ჩამოხვალო. მეც ასე ვფიქრობ.

**— მეორე ბუნდესლიგა, რაც უნდა იყოს, ბუნდესლიგაა, თანაც აუტსაიდერ გუნდში ყველა სასწაულს ელის ლეგიონერისგან. ნუთუ ეს ყველაფერი ფსიქოლოგიურ ტვირთად არ დაგაწვება?**

— მე მგონი, უცებ მივეჩვევი. ვარჯიში არასდროს დამზარებია და გერმანიაში რატომ უნდა გამიჭირდეს. ხისტად თამაშობენ, პრაქტიკულად კაცი-კაცზე, მუდამ პრესინგია. ეს ყველაფერი კარგად ვიცი, რადგან გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მითამაშია. თავიდან, რა თქმა უნდა, გამიჭირდება, მაგრამ ის კაცი არა ვარ, ვიწუწუნო და ცხვირი ჩამოვუშვა. რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ.

**— დაბრუნება, ალბათ, გაგიჭირდება...**

— წინასწარ ვიცი, რომ მხოლოდ ექვსი თვით მივდივარ და უკვე შეგუებული ვარ იმას, რომ უნდა დავბრუნდე.

**— ძალზე ბევრ საგოლე მომენტს ვერ იყენებ. არადა, ფორვარდისთვის, თანაც აუტსაიდერ გუნდში, ამაზე მეტი ცოდვა რა უნდა იყოს. მიზეზი?**

— მიზეზი ჩემს თავში უნდა ვეძებო. ალბათ ღელვის ბრალიც არის, როცა გადამწყვეტ მომენტს მეტოქის კარის წინ დაძაბული ხვდები და გოლს „ვერ ასრულებ". თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ეს ოსტატობაში ხარვეზების ბრალიცაა. აი, ბოლო დროს, სწორედ ამაზე ვმუშაობდი. ვარჯიშის მერე ვრჩებოდი ხოლმე და ნებისმიერი დისტანციიდან კარში ზუსტად დარტყმაში ვვარჯიშობდი. თუ მეკარეც დარჩებოდა ვარჯიშის მერე და პარტნიორობას გამიწევდა, ხომ კარგი, თუ არა, ცარიელ კარში ვარტყამდი ხოლმე. გერმანიაშიც იგივე ვიზამ, ვარჯიშებზე ბოლომდე დავიხარჯები.

**— შარშან „მარგვეთთან" გატანილი შენი გოლი მე-80 იყო ეროვნულ ჩემპიონატებში. ამდენი კი „დინამოში" მხოლოდ ყაველაშვილს აქვს გატანილი. არ გინდა, ამ მხრივაც საუკეთესო მაჩვენებელი გქონდეს?**

— ვიცოდი, რომ რეკორდს ერთი გოლი მაკლდა, მაგრამ მეორე წრე წინ არ იყო? არაუშავს, მერე გავასწრებ ყაველას. ისე, ყაველამ დაიმსახურა, რომ მისი რეკორდი უცებ არ დაემხოს. სხვათა შორის, მიშაზე ძალიან „დინამოში", მგონი, არავინ მიყვარდა...

**— ასარჩევად რომ გქონდეს საქმე, რომელ ქვეყნებში ირჩევდი თამაშს?**

— მუდამ გერმანიის გულშემატკივარი ვიყავი ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

**— ლიუბეკსა და მის კლუბებზე თუ იცი რამე?**

— ერთადერთი ის, რომ ქალაქი გერმანიის ჩრდილოეთით მდებარეობს, ჰამბურგთან ახლოს. ჩემი მიწვევის ამბავი შევიტყვე თუ არა, მაშინვე ვლადიკავკაზში დავრეკე. კობიაშვილი და ცხადაძე შემხვდნენ. კახამ მითხრა ცოტა რამ გუნდზე. „ლიუბეკის" სათავეში კიორბელია, „აინტრახტის" ყოფილი მწვრთნელი. კახამ მითხრა, ძალიან კარგი მწვრთნელი და პიროვნებააო. მთხოვა, ჩემგან დიდი მოკითხვა გადაეციო.

**— ახლა გერმანიაში უამრავი ქართველია, ვინმე ნაცნობი ხომ არ გეგულება?**

— ვინმე ნაცნობიო?! ბიძაჩემი დათო იაშვილი უკვე ხუთი წელია გერმანიაში საქმიანობს. სახელგანთქმული ექიმია. ამასწინათ გერმანიაში საგანგებო ენციკლოპედია გამოვიდა, გერმანიის ყველაზე ცნობილი პიროვნებების შესახებ. პირველი სიაში, ბუნებრივია, კანცლერი ჰელმუტ კოლია. შენ წარმოიდგინე, ბიძაჩემი ამ სიაში 33-ე ადგილზეა!

**— გერმანული ენა თუ იცი?**

— გერმანული არა, ინგლისური ვიცი ცოტა. ნელ-ნელა ენის პრობლემაც მოგვარდება.

**— მაშ, სიხარულით მიდიხარ...**

— რა გითხრა, მთავარი მაინც ისაა, რომ ჩვენსაზე ძლიერ ჩემპიონატში მომიწევს თამაში და ვარჯიში. ვფიქრობ, ეს ექვსი თვე ძალიან გამოადგება ჩემს საფეხბურთო კარიერას. ბევრს ვისწავლი, რაც ნაკლი მაქვს, იქ უფრო სწრაფად გამოვასწორებ. მოვინდომებ, მაქსიმალურად მოვინდომებ...

... ერთხელ ყიფიანს დინამოელთა მოკლე დახასიათება ვთხოვე, მაინტერესებდა მწვრთნელის თვალით დანახული. როცა ჯერი იაშვილზე მიდგა, ყიფიანმა მისი დამოკიდებულება ვარჯიშისადმი სამაგალითოდ დაასახელა — ვარჯიშის მერეც კი მინდვრიდან ვერ გაგდებო. იმედია, ამას კიორბელიც დაინახავს და თავის 81-ე გოლს იაშკა სწორედ „ლიუბეკში" პირველ მატჩისას გაიტანს.

**მამუკა ქვარაცხელია**

## ეჰ, ბორისო, ბორისო...

გუშინ მელბურნში გაჩაღდა ჩოგბურთელთა ავსტრალიის ღია პირველობა და ბოლო 20 წლის მანძილზე პირველად პირველსავე წრეში გავარდა ჩემპიონი: მე-6 ნომრად განთესილმა ბორის ბეკერმა კარლოს მოიასთან წააგო — 7:5, 6:7, 6:3, 1:6, 4:6. სხვა მოულოდნელობა, ფაქტობრივად, არ მომხდარა — განთესილებმა გაიმარჯვეს. მხოლოდ ქალთა მე-13 ნომრად განთესილმა რუსმა ლიხოვცევამ წააგო განუთესავ მარი პირსთან — 6:3, 2:6, 4:6.

ვაჟები: ჩანგი (2) — კრის ჰუსენსი (ბელგია) 6:0, 6:3, 6:1; მუსტერი (5) — ჯეფ გრანტი (აშშ) 6:3, 6:4, 6:2; ენკვისტი (7) — ნიკოლას პერერა (ვენესუელა) 6:1, 6:2, 6:4; გუსტაფსონი (12) — გრანტ დოილი (ავსტრალია) 6:7, 6:3, 7:5, 6:1

ქალები: გრაფი (1) — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 5:1, მერე ჰუსაროვას მუხლი ელრძო და დანებდა; მარტინესი (3) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6:0, 6:2; შულცი (10) — პარკ სუნგ-ჰიი (კორეა) 6:2, 2:6, 6:2; კეტცერი (12) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:2, 6:2; აპელმანსი (16) — ჰელენა სუკოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:2

ავსტრალიის ღია პირველობისადმი სამზადისის გამო იხილეთ მერვე გვერდი.





ევროპის ძიუდოს კავშირი უკვე დიდი ხანია ატარებს წლის საუკეთესო ძიუდოისტების (კაცისა და ქალის) გამოსავლენ გამოკითხვას, მაგრამ ქართულ მედიას, კონკრეტულად კი „სარბიელს", პირველად დაეკითხა.

**„სარბიელის" აზრით, ევროპის 1996 წლის საუკეთესო ძიუდოისტები არიან:**

**პაველ ნასტულა** (პოლონეთი, 95 კგ), ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, 3 წლის განმავლობაში დაუმარცხებელი ფალავანი.

**ულა ვერბრუკი** (ბელგია, 72 კგ), ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი, რომელმაც შარშან ერთადერთი შერკინება წააგო.

ევროპის ძიუდოს კავშირი საუკეთესოებს მაისში, ევროპის ჩემპიონატის დღეებში დააჯილდოებს.

# ვალერი გაზაევი:
## კარგი მოთამაშის ადგილი ყოველთვის გამოჩნდება



ხუთი ქართველი „ალანიაში" ნამდვილად არის საამისო მიზეზი, რომ ხშირად ვრეკოთ ვლადიკავკაზში და არცთუ იშვიათად შევეხმიანოთ ხოლმე გუნდის მთავარ მწვრთნელს ვალერი გაზაევს. თუმცა, მისი დაჭერა იოლი საქმე არ გახლავთ — სეზონისწინა მზადებით დაკავებული „ალანიას" თავკაცი ხან შინ არ იყო, ხანაც ვარჯიშს ატარებდა. ამ ჯერზე დარეკვისასაც ძლივს მოვიხელთეთ, ეჩქარებოდა, ვარჯიში მეწყებაო, თუმცა საუბარზე თავაზიანად დაგვთანხმდა.

**— „ალანიაში" ამჟამად ხუთი ქართველი ვარჯიშობს. ხუთივეს იტოვებთ?**

— ხუთივეს. შელია რჩება, ვიმატებთ ცხადაძეს, კობიაშვილს, გახოკიძესა და გურჩუას. ისინი საქმეში ვნახეთ და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს. ასე რომ, ახალ სეზონში, რუსეთის ჩემპიონობისათვის ბრძოლაში და ევროთასებზე გამოსვლისას, მათი იმედი გვექნება. ამჟამად ძირითადად უბურთოდ ვვარჯიშობთ და დატვირთვებს ყველამ გაუძლო. მოკლედ, პირველი შთაბეჭდილება ნორმალურია. ბუნებრივია, აქ შელიასა და ცხადაძეს არ ვგულისხმობ, შელია დიდი ხანია ჩვენთანაა და კარგი თამაშით მაყურებელთა სიყვარულიც დაიმსახურა, ცხადაძეს კი ჯერ კიდევ „დინამოდან" ვიცნობ და მას ჩემთან რეკომენდაცია არ სჭირდება.

**— ამ ხუთეულიდან ვინ რამდენწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი?**

— მთავარი ისაა, რომ ყველა დავიტოვეთ. კონტრაქტებზე კი, მოდით, ჯერ ნუ ვილაპარაკებთ.

**— ცხადაძის სანაცვლოდ „აინტრახტი" გარკვეულ თანხას ითხოვდა. დაირხა ხმები, თითქოს თქვენ 400 ათასი გერმანული მარკა გადაიხადეთ ჩვენი ნაკრების კაპიტნის შესაძენად...**

— ოო, თანხა კი გადავიხადეთ, მაგრამ ამდენი არა, 400 ათასი ძალიან გადაჭარბებული რიცხვია. თუმცა, საკონტრაქტო თანხაზე ამჟამად საუბარი სასურველად არ მიმაჩნია.

**— ყოველ შემთხვევაში, „აინტრახტის" პრობლემა ხომ მოაგვარეთ?**

— ეს კი დანამდვილებით შემიძლია დაგიდასტუროთ. ცხადაძე უკვე „ალანიას" ეკუთვნის და ამიერიდან ჩვენთან ითამაშებს.

**— ერთი ხანობა ხმა დაირხა, ჩვენი ახალგაზრდების სამეულიდან გაზაევი მხოლოდ კობიაშვილს იტოვებსო...**

— გურჩუას და გახოკიძის გასინჯვაც გვსურდა და დავრწმუნდით კიდეც, რომ მათ საკმაო პოტენცია გააჩნიათ საიმისოდ, რათა მაღალი დონის ფეხბურთი ითამაშონ. ამიტომაც დავიტოვეთ. ვფიქრობ არც შევმცდარვარ.

**— დატოვებით კი დაიტოვეთ, მაგრამ საინტერესოა, ვის სად ათამაშებთ? კობიაშვილი და გახოკიძე, ფაქტობრივად, ერთ პოზიციაზე თამაშობენ, ისევე როგორც ცხადაძე და თეთრაძე. ვის რომელ ამპლუაში სათამაშოდ ამზადებთ?**

— ჯერ მიჭირს ამის თქმა. მოსამზადებელ პერიოდში ყველას დავაკვირდები და საბოლოოდ, ოპტიმალურ ვარიანტსაც შევიმუშავებთ. უამრავი ახალი ფეხბურთელი გვყავს და ვინ სად ივარგებს, ამის დასადგენად დრო მჭირდება. თუმცა, კარგი მოთამაშისთვის გუნდში ადგილი ყოველთვის გამოჩნდება, მათ შორის ქართველებისთვისაც, რომელთა დიდი იმედიც მაქვს. ქართველებმა 1995 წელს ჩემპიონობის მოპოვებაში დიდი სამსახური გაგვიწიეს და ახლაც მათი დახმარებით, ვფიქრობ, ჩემპიონობას ისევ დავიბრუნებთ.

**— ერთ-ერთი ქართველთაგანი — რევიშვილი კი „ალანიაში" უკვე აღარ ირიცხება. მან საბოლოოდ გაწყვიტა გუნდთან კავშირი?**

— რევიშვილი გასაყიდ მოთამაშეთა სიაში შევიყვანე. საწყენია, რომ ტრავმებმა ზაზას შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება არ მისცა. მასთან ასე დაშორება ჩემთვისაც არ იყო სასიამოვნო.

**— რევიშვილის მსურველ გუნდს რა თანხის გადახდა მოუწევს?**

— მხოლოდ იმ თანხის მინიმუმისა, რასაც ასეთ შემთხვევაში მოითხოვდა ჩვენს ადგილზე მყოფი ნებისმიერი გუნდი. ჩვენ ვითვალისწინებთ მოთამაშის მდგომარეობას და, ვიმეორებ, რევიშვილში მხოლოდ მინიმალურ თანხას მოვითხოვთ.

**— ჩვენებურების გარდა კიდევ ვინ დაიმატეთ?**

— სამი ლიტველი — პოდერისი, მაცელიავიჩუსი, ჟუტაუტასი და ორიც უკრაინელი — ოდესის „ჩერნომორეცის" ყოფილი თავდამსხმელი ივან გეცკო, რომელიც შარშან ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში" თამაშობდა და კიევის დინამოელი იური მოროზი.

**— ამდენი უცხოელის შემატება პრობლემებს არ შეგიქმნით?**

— არავითარს. რადგან რუსეთში შარშან მიიღეს ახალი დებულება, რომლის თანახმად ესენგეს ქვეყნების მოთამაშეებზე ყოველგვარი შეზღუდვა მოიხსნა. თუ მოვისურვებ, მოედანზე თერთმეტ ამისთანა ფეხბურთელს გამოვიყვან.

**— შარშან ყაველაშვილის წასვლით თავდამსხმელის პრობლემა შეგექმნათ. წელს ეს პრობლემა გადაჭერით?**

— გეცკოს გადმოყვანა სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ვფიქრობ, გეცკო-კანიშჩევის დუეტი ანგარიშგასაწევი ძალა იქნება და კვალიფიციურ თავდამსხმელთა პრობლემაც არ შეგვაწუხებს.

**— კანიშჩევი დაიტოვეთ? „სპორტ-ექსპრესში" გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, იგი „ბენფიკაში" უნდა გადასულიყო...**

— ეს ლაპარაკი ლაპარაკადვე დარჩა, კანიშჩევი კვლავ ჩვენთანაა.

**— ისრაელში, შეკრებაზე როდის მიემგზავრებით?**

— 14 იანვარს, მერე კი იტალიასა და ესპანეთს მივაშურებთ.

**მერაბ მამულაშვილი**



კახი ცხადაძე და ომარ თეთრაძე. ისევ ერთად...

კარგი მეკარე ნახევარი გუნდიაო, იტყვიან და ჩვენშიც ყოველთვის მოიძებნებოდნენ ძლიერი გოლკიპერები. მათი გახსენება-ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. არც ამჟამინდელი თაობა გახლავთ ჯაბანი, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო სათქმელს ჯეროვნად ვერ ამბობს. დღეს ამ თაობიდან კიდევ ერთს, გუბაზ დოლიძეს შეგახვედრებთ. გუბაზს ეროვნულ ჩემპიონატში ჭიპი აქვს მოჭრილი, ასაკითაც, ზუსტად იმ ხნისაა, როცა მეკარის ნიჭი სრულად ვლინდება. მის თავდაჯერებულ, უშიშარ თამაშს გულშემატკივარი ბევრჯერ გაუოცებია. ერთხელ დილმის ბაზაზე გამოცდილი მწვრთნელების საუბარს შევესწარი. მეკარეებზე ლაპარაკობდნენ. თითქმის ყველა ჩვენი ახლანდელი კარის დარაჯის ძლიერი და სუსტი მხარეები გაარჩიეს, გუბაზზე კი ეს თქვეს, მაგ ბიჭს ბუნებამ ყველაფერი უბოძა, ძლიერი მეკარე რომ დამდგარიყო, მაგრამ სიმაღლე დაამადლაო. მიუხედავად ამისა, ყოველთვის სტაბილურია და, რაც მთავარია, თამაშს ბრწყინვალედ კითხულობსო. ვერაფერს იტყვი, არ არის ურიგო შეფასება, ხოლო რას ფიქრობს გუბაზ დოლიძე თავის თამაშსა და ფეხბურთზე, ამის თაობაზე თავად მას მოვუსმინოთ...

# გუბაზ დოლიძე:
# გიჟი არა ვარ



**— როგორი უნდა იყოს მეკარე?**

— ჩემი აზრით, ისეთი, როგორებიც გერმანელი კეპკე და ჰოლანდიელი ვან დერ სარი არიან. მე ისინი უძლიერესებად მიმაჩნია. ორივე ყოველგვარი რისკის გარეშე თამაშობს. ათლეტურები კი არიან, მაგრამ ტანს ჩინებულად ფლობენ, კარგად ერკვევიან სათამაშო სიტუაციებში, ლამის წინასწარ ხვდებიან, რა მოხდება შემდეგ მომენტში. დავუმატოთ ამას ჩინებული რეაქცია, კარგი თამაში ფეხით და შეუტოკებელი ნერვი. მოკლედ, უნაკლონი გამოდიან. ვინც „აიაქსის" თამაშს დააკვირდება, აღმოაჩენს, რომ, ფაქტობრივად, გუნდის ყველა შეტევას მეკარე იწყებს. ხომ აქებენ პორტუგალიელ ბაიას, მას მართლაც ჩინებული რეაქცია და უნაკლო ნახტომი აქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, კეპკესთან და სართან ახლოსაც ვერ მივა. კრიტიკულ სიტუაციებში ამათებურად გარკვევა უჭირს და იმიტომ.

**— უცხოელებს შევეშვათ, შენს თამაშზე რას გვეტყვი?**

— ჩემსაზე მე რა უნდა ვთქვა. თითქოს ცოტა არ მითამაშია, მაგრამ ყველაზე უმთავრესი — მაღალი დონის მატჩების გამოცდილება მაკლია. ვფიქრობ, თეორიულად ყველაფერი ვიცი, რაც მეკარეს სჭირდება, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის ისე ვერ ვირჯები, როგორც საჭიროა და ჩაფიქრებული მაქვს, ამაში ალბათ გარკვეულწილად ჩემი ფიზიკური მონაცემებიც მიშლის ხელს, ზოგჯერ კი ყველაფერი ჩემგან დამოუკიდებლად ხდება: ხან მინდორია ცუდი, ანაც კარის წინ უშველებელი წყლის გუბე დგას და ასე შემდეგ. მიზეზი ბევრი შეიძლება იპოვო, მაგრამ მე ყოველივეს ჩემს თავში ვეძებ.

**— მეხუთე ეროვნული ჩემპიონატი მთლად გაგიცდა, მეექვსეში კი ცოტა ითამაშე. რა იყო მიზეზი?**

— 92-ის სეზონი იწურებოდა, „შევარდენის" კარში ვიდექი. გალში თამაშისას მკლავი დავიშავე. სეზონის ბოლომდე ექვსი თამაში მრჩებოდა, გუნდს კი გასავარდნად ჰქონდა საქმე. თავს ძალა დავატანე და დარჩენილი მატჩებიც ვითამაშე. ტრავმა გამიმიზეზდა და დაიწყო ჩემი მოგზაურობა მთელ საქართველოში. მკურნალი არ დამიტოვებია, მაგრამ უკეთესობა არ მეტყობოდა. ბოლოს მოსკოვს მივაშურე და ოპერაცია გავიკეთე. თურმე კუნთი მქონდა გაწყვეტილი. ამასობაში წელიწადი და შვიდი თვე გავიდა. ჩემი მეკარეობა ყველამ დაივიწყა. დროებაც აირია და ფაქტობრივად ცალხელა კაცი უფეხბურთოდ ვრჩებოდი. ამ დროს „მეტალურგში" წასულმა რეზო ძოძუაშვილმა მომიკითხა. მაშინ ხეირიანად არც მიცნობდა. რუსთავში წამიყვანა, კარგი ხელფასი დამინიშნა და დრო მომცა, ივარჯიშე, ყველაფერი კარგად იქნებაო. თავიდან „აზოტში" დავიწყე, ხელზეც უკეთესობა დამეტყო. მალევე ძოძუაშვილმა „მეტალურგში" გადამიყვანა, მენდო, ყოველგვარი ფსიქოლოგიური ბარიერი გადამალახვინა. მეც ჩვეულად ავთამაშდი. ძოძუაშვილმა იცის ფეხბურთელის შრომის ფასი, მოთამაშეს არ ულალატებს. ახლა რომ ვთამაშობ, მისი დამსახურებაა.

**— ბარემ იმათზეც გვითხარი, ვისთანაც გიმუშავია.**

— ფეხბურთი ზურაბ მაისურაძემ შემაყვარა. ბავშვობის მწვრთნელია და დიდი ამაგიც აქვს ჩემზე. დავით ყიფიანმაც დაატყო კვალი ჩემს კარიერას, მისგან ბევრი კარგი მისწავლია.

**— შენ ცოტას ხტები და ბევრს იგერიებ. როგორ ახერხებ?**

— ნახტომის გარეშე მეკარე წარმოუდგენელია, სხვაგვარად ვერ ითამაშებ, მაგრამ ნახტომსაც გააჩნია. შევთანხმდეთ, რომ მეკარემ პირველ რიგში გუნდისთვის უნდა ითამაშოს და არა თავისთვის. მეკარე ყოველგვარი ფაცი-ფუცის გარეშე უნდა ირჯებოდეს, ასე პოზიციების სწორად შერჩევასაც მიეჩვევი და უფრო ნაკლებადაც შეცდები. ყველაფერს თავისი დრო აქვს. არის მატჩები, რომლებიც მხოლოდ პუბლიკისთვის ეწყობა. ასეთ დროს შეიძლება ნახტომიც გააფორმო და სილამაზეზეც იფიქრო, მაგრამ ძირითადად ის გევალება, გოლი არ გაუშვა, ხოლო რაც უფრო სოლიდურად იდგები, უფრო ცოტას გაუშვებ.

**— ტანმორჩილობის მიუხედავად კარიდან გამოსვლისასაც სოლიდურად გამოიყურები. მაღალ ბურთზე მებრძოლი და შემცდარი დოლიძე იშვიათად უნახავთ...**

— პირველ წრეში ორჯერ იყო მსგავსი სიტუაცია და ორჯერვე გოლი გავუშვი. პირველად დავდამსხმელმა წესები დაარღვია და ისე მაჯობა, მეორედ კი ტბორში ჩავეფლე და დროულად ვერ გამოვედი. დანარჩენ შემთხვევებში არ შევმცდარვარ. ისე არავინ გამიგოს, თითქოს ამ მხრივ უნაკლო ვარ. სამუშაო ბლომად არის, მაგრამ ვარჯიშებზე დღე ისე არ გავა, გამოსვლებზე თამაშის დახვეწას გვარიანი დრო არ დავუთმო. ამას სისტემატურად ვაკეთებ, შედეგი კი სპეციალისტებმა შემიფასონ.

**— შენთვის უხერხულ თავდამსხმელად ვის მიიჩნევ?**

— ჩემთვის ყველა ის თავდამსხმელია უხერხული, ვისაც არ ვიცნობ. შეძლებისგვარად ვცდილობ, ყველა შევისწავლო, ყველას ვაკვირდები.

**— პირველ წრეში 17 გოლი გაუშვი, ბევრი ხომ არ არის?**

— სასურველი იყო, სულ არ გამეშვა, მაგრამ მაშინ „მერანი" იქნებოდა პირველ ადგილზე. ისე, ჩვენი გუნდის შემტევ სტილს თუ გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, ბევრი არ არის. უფრო ცოტა მხოლოდ „დინამომ", „ბათუმმა" და „ოდიშმა" გაუშვეს.

**— მინდორზე მუდამ სიმშვიდით გამოირჩევი...**

— მეკარე ძალზე მშვიდი უნდა იყოს. თუ თამაშისას ერთხელ მაინც „ავარდი", ვერაფერი გიშველის, განწირული ხარ. ეს ყოველივე ბავშვობიდან ჩამრჩა გონებაში: 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ვუყურებდი. იტალია კამერუნს ეთამაშებოდა. ანგარიში 1:1 იყო. ქვეჯგუფიდან გასვლის ბედი წყდებოდა. იტალიელებმა სახიფათო კომბინაცია გაითამაშეს და თავდამსხმელი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანეს. აფრიკელთა კარს ნკონო იცავდა. არასოდეს დამავიწყდება მისი სახე. წამითაც არ დაუკარგავს სიმშვიდე, სახეზე ნაკვთიც არ შეტოკებია და აკი ძნელი ბურთიც აიღო. მსგავსი მერეც მინახავს, მაგრამ ის დაუვიწყარი გახლავთ.

**— „მერანზე" რას იტყვი, ბევრი არ ელოდა თქვენგან ასეთ შედეგს...**

— „მერანი" ძალიან მეგობრული გუნდია, სეზონის დასაწყისში მისულს შეჩვევა არ დამჭირვებია, უცბად შევეგუე. აქ ფეხბურთელს უსიტყვოდ უსრულებენ იმას, რასაც შეპირდებიან, რაც პირველ რიგში პრეზიდენტის დამსახურებაა. მწვრთნელებზე მე რა ვთქვა, თავად შედეგი მეტყველებს მათი მუშაობის ხარისხზე. ამ ყოველივემ განაპირობა კიდეც გუნდის წარმატება, რაშიც დარწმუნებულნიც ვიყავით.

**— შენი ნათქვამი მაფიქრებინებს, რომ წასვლას არსად აპირებ?**

— თუ წავალ, მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ „დინამოში" მიმიწვევენ, არც კი დავფიქრდები, იქ უფრო დიდი პერსპექტივა, სხვა მოთხოვნები და სხვა ატმოსფეროა. მეორე შემთხვევა ის იქნება, უცხოეთში წასვლის შანსი თუ გამოჩნდება. „მერანიდან" წასვლის სხვა ვარიანტი ჩემთვის არ არსებობს.

**— ყველაზე ცუდად და კარგად გასახსენებელი მატჩები შენს კარიერაში რომლებია?**

— ცუდად რუსთავის „მეტალურგის" „მარგვეთთან" შინ 0:1-ზე წაგებულ თამაშს დავასახელებ. იმ დღეს არც ვიხსენებ, კოშმარი იყო. რაც შეეხება კარგად გასახსენებელს, ვფიქრობ, ის ჯერ არც მითამაშია, მელოდება.

**— წინასწარ მორიგებული მატჩები თუ გითამაშია?**

— ყოფილა ასეთი შემთხვევებიც. რაც იყო, ვერ უარვყოფ. ისე, სიმართლე თუ გინდა, ჩაწყობილი თამაშები ყველა ქვეყნის ჩემპიონატებში შეიძლება მოვიძიოთ, მაგრამ იმდენი, ჩვენში რომ არის, არავინ დაიკვეხნოს. ამას თუ დროზე არ მიეხედა, წინსვლაზე ფიქრი ზედმეტია.

**— რატომ ეძახიან მეკარეებს გიჟებს?**

— სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად არ ვარ გიჟი. ვითომ ცოტა უცნაურები ვჩანვართ, მაგრამ ეს ყველაფერი მინდორზე ჩვენი მოვალეობიდან გამომდინარეობს.

**— მეგობარი ბევრი გყავს, რა როლს თამაშობენ ისინი შენს ცხოვრებაში?**

— ყველა მათგანთან ბურთმა და ფეხბურთმა დამაკავშირა. ამიტომ, გინდა თუ არა, სულ ფეხბურთზე მიწევს ფიქრი, ვარჯიშიდან რომ ვბრუნდები მაშინაც და თავისუფალ დროსაც. ჩვენ ყველანი ფეხბურთით ვცხოვრობთ.

**— როგორ ფიქრობ, მიღწეული დონე შენთვის ზღვარია?**

— მაგ კითხვის პასუხი პირველ რიგში მევე მაინტერესებს. მინდა გავიგო, რას წარმოვადგენ, როგორც მეკარე. მაგრამ ამისთვის მაღალი დონის მატჩებში მონაწილეობაა საჭირო, ამის საშუალება კი ჯერჯერობით არ მომცემია. არადა, ვგრძნობ, შემიძლია მომატება. ყოველ შემთხვევაში ამის დიდი სურვილი მაქვს.

**— ერთი სიტყვით, გუბაზ დოლიძე მიღწეულით არ კმაყოფილდება...**

— ასეა. მუდამ სრულყოფაზე ფიქრობ. მინდა, ფეხბურთში ჩემი სიტყვა ვთქვა, რაღაც გავაკეთო. ბევრი ჩემს ადგილზე თამაშს თავს დაანებებდა, მაგრამ რადგან ამდენი დავძლიე, გაჩერება აღარ ივარგებს.

**მამუკა კვანტალიანი**

**ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თერთმეტი კოშკის საიდუმლო



ტაქსში დუომოს მოედნის შორიახლოს ჩავსხედით. ბინდდებოდა, რვის წუთები იქნებოდა. ეს ახლა, წავიკითხე და ვიცი, ცენტრიდან იქამდე ექვსი კილომეტრი რომაა. მაშინ არც გიამ, მერაბმა და ზურამ იცოდნენ. „სან სირო“ — ვეუბნებით მძღოლს. ბიჭებისას ვერ გეტყვით, მე კი რაღაც სხვანაირად ვარ. რა მაღელვებს? რა და იმ ქალაქში ვარ, უხსოვარ დროში რომის იმპერატორებმა რეზიდენცია რომ მოიწყვეს. რამდენიმე საათის წინ მილანის ტაძართან ვიდექი. შემდეგ „ლა სკალასთან“. შესაძლოა ზუსტად იმ ადგილზეც დავდგი ფეხი, ოდესღაც ნერონს, ჯუზეპე გარიბალდის ან ჯუზეპე ვერდის რომ დაუდგამთ. გამორიცხულია, რომ ჩვენი ნაფეხურები ერთმანეთს დაემთხვა? ახლა კი „სან სიროზე“ მივდივარ. ცხრის ნახევარზე თამაშია. ვიღაც მილანელისთვის ჩვეულებრივი, ჩემთვის კი არა. მერე რა, რომ „ინტერი“ მხოლოდ „პიაჩენცას“ ხვდება და „ინტერ“ — „მილანი“ არ არის.

გულშემატკივარი გამიგებს, სხვებისთვის კი, დიდი ბოდიში და, არ ვწერ: მილანისკენ „სან სიროს“ გულისთვის გამოვეშურეთ. კი ბატონო, შეპყრობილად ვართ, თორემ ამ, მთელი მსოფლიოსთვის საოცნებო ქალაქში, კულტურული კაცი უპირველესად სხვა რამისთვის უნდა ჩამოხვიდე. ბნელებად თავს ნამდვილად არ ვთვლით, მაგრამ... თუმცა არა უჭირს, სად-სად და აქ მილანში არ დაგვძრახავენ. ჩვენნაირები არიან და იმიტომ. თუნდაც ტაქსის მძღოლი, ფეხბურთი არ მიყვარსო, რომ გამოგვიცხადა. როცა გაიგო, რომ ქართველები ვართ და იტალიაში მათი და ჩვენი ნაკრებების მატჩზე დასასწრებად ჩამოვედით, არიგო საკის ლანძღვას მიჰყვა და კიდევ, ტოლდომ თქვენების დარტყმული ორი მაგარი ბურთი აიღოო, გვითხრა. აი, ეს კაცი ამბობს, გულშემატკივარი არ ვაროო. მაშ, გულშემატკივარი წარმოიდგინეთ.

ამასობაში დაბნელდა. ეტყობა, სტადიონთან ახლოს ვართ, უკვე კორდონებია. ტაქსი გაატარეს. მარჯვნივ მოვუხვიეთ. ხელმარცხნივ რაღაც სინათლეები გამოჩნდა, მტკვრის გაღმიდან დიღომს რომ უყურებ, ისეთი. გიას სწორედ ამას ვეუბნები, ეს რა დიღმის მასივია-მეთქი, ტაქსი კი ჩერდება, მოვედით.

აუ, ჩემო! მე რომ გაღმა კორპუსები მეგონა, ჩვენს თავს წამომდგარი „სან სირო“ ყოფილა. კარგად შევხედე და უცბად პილიგრიმად ვიგრძენი თავი. დაბლა დავიხედე, ფესვები ხომ არ გამომივიდა-მეთქი და რა შუაში იყო, ვიფიქრე, რომ ალბათ ასე გრძნობს თავს კბილის პასტა, ტუბში რომ შეაბრუნებენ. ჩემს წინ შედევრი იდგა.

კიდევ კარგი, აქ დილით არ მოვედით. რა ეფექტს გამოვაკლდებოდი?! დილითვე გვინდოდა ბილეთების შეძენა, ვაგზლიდან პირდაპირ მეტროში ჩავყვინთეთ, სადგურ „ლოტოში“ ამოვედით და სტადიონის გზას გავუდექით კიდეც, მაგრამ ერთი ბიჭი შემოგვეყარა და გვითხრა, სალაროებს ოთხამდე მაინც არ გახსნიან, ადრე ტყუილად მიდიხართო.

ბილეთებს ვყიდულობთ. მაგრამ არა, ასე იოლად სტადიონზე ვერ შეხვალ. იმიტომ კი არა, რომ ვინმე გაკავებს, იმიტომ რომ ირგვლივ სულ დახლებია და ზედ: „ინტერის“ მაისურები, შარფები, ქუდები; „მილანის“ მაისურები, შარფები-მარფები, „იუვეს“ ყველაფერი; „ბარსა“, „ბაიერნი“... აქედან ისე ვერ წავალ, მიხოს რობერტო ბაჯოს მაისური რომ არ ვუყიდო. ვეტყვი, ზედ „სან სიროზე“ გიყიდე-მეთქი, გაუხარდება. მერაბმა „ინტერის“ შარფი შეიძინა. „ინტერის“ თამაშია მაინც. თავზე გაიკრა.

წამო, წამო, ენახოთ ეს საოცრება შიგნიდან როგორია. დგას კონტროლიორი, უკან პოლიციელი. სამს უსიტყვიოდ გვატარებენ. მერაბს კი, გაჩერდიო და ჯიბეებს უსინჯავენ. მერაბი ხელმარჯვე კაცია, თუ რამეს დაზიანებულს ხედავს, შეკეთების სურვილი უჩნდება და ამიტომ სულ ნაირ-ნაირ პირიან ჯაყვას ატარებს. უპოვა პოლიციელმა ჯაყვა და უნდა ჩამოგართვაო, ეუბნება. ხვეწნა, მუდარა, აქეთური-იქითური. ბოლოს იმაზე დავიყოლიეთ, რომ დანა სტადიონს გარეთ, სუვენირების გამყიდველს დავუტოვეთ. თამაშის მერე გამოვართვით. სულ თავზე წაკრული შარფის ბრალი იყო. ისე, უცნაურია, ჩვენც ხომ მერაბთან ერთად ვიყავით, მერე რა, რომ „ინტერის“ შარფი არ გვეკეთა, იქნებ ზარბაზანი გვედო ჯიბეში?!

სად არის ჩვენი ადგილი? აქეთო, გვეუბნება სტადიონის ფორმიანი მოსამსახურე და ცილინდრული კოშკისკენ გვითითებს. ვიღაც გულშემატკივარი ეთანხმება და გზას გვასწავლის. „სან სიროზე“ თერთმეტი ასეთი კოშკია, მესამე იარუსი მათ ებჯინება. ადრე ეს კოშკები არ იყო, მაგრამ იტალიას 1990 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძლობა რომ ერგო და სტადიონზე მხოლოდ ინდივიდუალური სკამების დადგმა მოუწია, დაითვალეს, რომ ტევადობა 80-დან 67 ათასამდე უმცირდებოდათ, ამიტომაც გამოსავლად მესამე იარუსის დაშენება მოიფიქრეს. მოხსნეს სხვენი, ააგეს ცილინდრული კოშკები, მათ იარუსი დაადგეს და გადახურეს. ასე გახდა „სან სირო“ 75 ათასიანი და თან ცნობილი იერსახე არ დაჰკარგა. ცნობილ იერსახეს კი სტადიონის ტრიბუნაზე ასასვლელი დამრეცი ტერასები აძლევდა.

კოშკიდან მხოლოდ მესამე იარუსზე შედიხარ. იქიდან მეორეში ჩასასვლელად კი ისევ გარეთ უნდა გამოხვიდე, დაბლა დაეშვა და ტერასებს მიადგე. მოკლედ, შიგნით იარუსიდან იარუსზე ვერ ჩახვალ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ როგორც აქ სტადიონის კენწეროში გაირკვა, ჩვენი ადგილები მეორე იარუსზე ყოფილა.

„სან სიროს“ ტრიბუნები სულ გადახურულია. თუ წვიმს, მხოლოდ ფეხბურთელები სველდებიან. ამან თეატრი მომაგონა და დარბაზში ჯდომის შთაბეჭდილება ვერაფრით მოვიშორე თავიდან. ტელევიზიით ასე არ აღიქმება.

ტელევიზიით კაცი ვერც ატმოსფეროს აღიქვამ. ის კი, მერწმუნეთ, საგანგებოა. ამ სტადიონზე, მოგეხსენებათ, ორი გუნდი თამაშობს, ორი დიდი გუნდი, „მილანი“ და „ინტერი“. თავიდან, 1899 წელს, დაარსდა „მილანი“, 1908-ში კი იდეურ უთანხმოებათა გამო კლუბს ოპოზიციონერთა ჯგუფი გამოეყო, რომელთაც „ინტერი“ დააარსეს. ამგვარად, „ინტერი“ „მილანის“ მტრად იშვა და აგერ ლამის საუკუნეა ასე გრძელდება. ვსხედვართ „ინტერ“ — „პიაჩენცაზე“. „მილანი“ იმ წუთებში რომში თამაშობს, „რომასთან“. „მილანის“ ქომაგები სტადიონზე არ არიან, ტაბლოზე კი იწერება, რომ იქ, რომში, „რომამ“ ანგარიში გახსნა. „სან სირო“ სიხარულით ინგრევა. ალბათ, ასევეა, სადმე „ინტერს“ რომ გაუტანენ, სტადიონი კი „მილანის“ ქომაგებითაა სავსე. წარმომიდგენია აქაური დერბი...

დროშებით, მაშხალებით და ღონიერი ფილტვებით შეიარაღებული ტიფოზები კი კარებს უკან სხედან. ეს ადგილები აბონემენტებისაა. მარცხნივ „ინტერის“ გულშემატკივართა ადგილებია, მარჯვნივ — „მილანის“. როგორც გითხარით, ჩვენ რომ ვიყავით, იმ დღეს „მილანის“ გულშემატკივრები სტადიონზე არ იყვნენ და აქეთ კარს უკან ერთი სექტორი პიაჩენცელებს ეპყროთ. ყვიროდნენ საწყლები რაც შეეძლოთ, მაგრამ დიდ ბრძოლებში გამოცდილ და ორგანიზებულ „ინტერის“ ტიფოზებთან რას გახდებოდნენ. ვერც მათმა გუნდმა გაუწია მასპინძლებს წინაალმდეგობა, 0:2 წააგო. ის კი არა, იური ჯორკაეფმა ლამის მთელი პიაჩენცა მოატყუა და ისე გაიტანა. საინტერესო კი აი, რა იყო: ჩვენთან, წინა რიგში, ერთი ორმოცდაათი წლის კაცი იჯდა, უფრო სწორად, იდგა, სკამზე. მოედნისკენ, ვგონებ, არც გაუხედავს, საათნახევრის განმავლობაში სტუმართა ქომაგებს აგინებდა. მისი ჟესტიკულაცია ინტერნაციონალური იყო.

მართლაც და, წარმომიდგენია „სან სიროს“ დერბი, სტადიონისა, რომელზეც პირველი, 1925 წელს, „მილანი“ დასახლდა. „ინტერი“ აქ ფაშისტური ეპოქის შემდეგ, 1947-ში გადმობარგდა. მათი პირველი შეხვედრა კი ამ სტადიონზე 1926 წელს შედგა. ამხანაგური თამაში იყო, „მილანმა“ 6:3 მოიგო. მაშინ „სან სიროზე“ 35 ათასი კაცი ეტეოდა.

და კიდევ, 1979 წელს „სან სიროს“ ჯუზეპე მეაცას სახელი უწოდეს. ეს კაცი, ჯუზეპე მეაცა, ოცდაათიან წლებში ორივე კლუბში თამაშობდა და ორივეგან ქომაგთა კერპი გახლდათ. იგი ნაკრების ვარსკვლავიც იყო. ასეთი, ყველასთვის საყვარელი ადამიანისთვის კი ისტორიის სახელ და ლეგენდად ქცევა ალალია.

გიამ თქვა მატჩის შემდეგ, რა ძლიერი უნდა იყო, ამ მოედანზე რომ გაიბრწყინოო. ეს ყველგან ძნელია, აქ, „სან სიროზე“ კი, მითუმეტეს. „სან სირო“ ხომ ფეხბურთის „ლა სკალაა“, მონმარტრია, ჯომოლუნგმაა. გიამ ეს მაშინ თქვა, მოედანთან საგანგებოდ რომ ჩავედით და ჯადოსნურ ნაგებობას ქვემოდან ავხედეთ...

პერუჯას სარბიელმა კი სულ სხვა ემოცია აღძრა.

პერუჯაში მილანამდე ოთხი დღით ადრე გახლდით, იტალია — საქართველოს თამაშზე. ეს ქალაქი ფერდობზეა შეფენილი, კოხტაა და პროვინციული. ცენტრი გორაკზეა, სტადიონი — დაბლა, იქაური პატარა გლდანის თუ მუხიანის პირას. ეს გლდანი თუ მუხიანი ჩვენსაზე გაცილებით მოვლილი და ლამაზია, მაგრამ მაინც მუხიანია. სტადიონზეც იგივეს ვიტყოდი, კლასით ოთხტრიბუნიანი ქართული პროვინციული სარბიელების სწორია, ოღონდ ნალოლიავები. ეტყობა, რომ ნორმალური ხალხის ხელშია. ასეთი ნაგებობები, გავლით, იტალიის სხვა ქალაქებშიც შევნიშნე. ბავშვობაში კონსტრუქტორი რომ მქონდა, ის მაგონდებოდა. გეგონება, მხოლოდ რკინებია ერთმანეთზე შემოწყობილი, ხოლო სხვა საშენი მასალა არ უხმარიათო. მშენებლობაში გარკვეული კაცი არ ვარ, მაგრამ უთუოა, რაღაც მარტივია და იაფი. ატმოსფეროს კი გულშემატკივრები ქმნიან. იმ კარის უკან, მეორე ტაიმში ირაკლი ზოიძე რომ იდგა, კაი ორი საათი, თვალსასეირო და შთამბეჭდავი რამ ხდებოდა. ეტყობა, ამ ადგილებზე აბონემენტებია გაყიდული და სულ ნაცნობი და მომზადებული ტიფოზები იკრიბებიან. ნაირ-ნაირი სიმღერა, უეცარი ღრიალი, დროშების ტყე, მაშხალები... და მეტი არაფერი ისეთი, მოყოლად რომ ღირდეს. მატჩისშემდგომი პრეს-კონფერენციაც ერთ პატარა ოთახში ჩატარდა, სადაც ჟურნალისტთა თითქმის ნახევარი ფეხზე იდგა. ერთი კია, სინათლე არ გამორთულა, ტელეფონები და ფაქსები კი, ასე განსაჯეთ, მუშაობდა.

სხვა იტალიური სტადიონი, სამწუხაროდ, მე არ მინახავს, მაგრამ ვფიქრობ, სანამ ამ წერილს წერტილს დავუსვამდე, ორიოდ მათგანზე თუნდაც ფურცლებიდან ამოკითხულის თქმა უპრიანი იქნება. განა შეიძლება, დღეს, „იუვენტუსი“ და მისი „სტადიო დელე ალპი“ არ ვახსენოთ?

ტურინის სტადიონს „დელე ალპი“ იმიტომ ჰქვია, რომ მისგან ალპები ჩანს. ნათლია სოციოლოგიის მავანი პროფესორი გახლავთ, რომელმაც ამ სახელის მოგონებით კონკურსში გაიმარჯვა და ჯილდოდ 30 ათას დოლარამდე მიიღო. ტრიბუნები 70 ათას ადამიანს იტევს.

„სტადიო დელე ალპი“ 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ააშენეს. ოფიციალურად 1989 წლის სექტემბერში გაიხსნა... და მთელს ტურინს გულზე დარდად დააწვა. ბავშვი რომ სალეჭ რეზინს კბილებიდან გამოწელავს, ისეთი სიმახინჯეა. ამბობენ, მოედნიდან ბოლო იარუსის ბოლო რიგებამდე ასოცი მეტრიაო. წარმოგიდგენიათ? ესე იგი, „იუვენტუსის“ ქომაგი ალესანდრო დელ პიეროს კბილის საჩიჩქნი ღერის ზომისას ხედავს.

ახლა მოედანი? მსოფლიოს პირველობის შემდეგ მის მოწესრიგებას დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდა.

ალაგ-ალაგ ამობურცული ზედაპირი ფეხბურთელებისთვის კარგა ხანს დიდ პრობლემას წარმოადგენდა. კულმინაციამ 1995 წლის გაზაფხულს უწია, როდესაც „იუვემ“ უეფას თასის ნახევარფინალისა და ფინალის საშინაო თამაშების გამართვა მილანში, „სან სიროზე“ ითხოვა. ეს ლამის კატასტროფა იყო. ხმამ, რომ „იტალიის ქალბატონი“ შესაძლოა ტურინიდან სამუდამოდ გადაბარგდეს, მიწისძვრასავით გაიზრიალა, მაგრამ გამოჩნდა ხალხი, რომელიც მიდგა-მოდგა და „იუვე“ ახალი კონტრაქტის ძალით „სტადიო დელე ალპიზე“ დასტოვა.

კოლიზეუმი? კოლიზეუმი, მოგეხსენებათ, რომშია. ქალაქთა ქალაქის ოლიმპიური სტადიონი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჩატარებული რეკონსტრუქციის შემდეგ, სწორედ კოლიზეუმს დაემსგავსა. არქიტექტორებმა დაამსგავსეს. ამან მოალბო ბევრი რომაელის გული, რომელთაც განახლებული სარბიელის ტრიბუნებიდან რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმული საუცხოო ხედი ველარ დაინახეს.




რომის ოლიმპიური სტადიონი 1953 წლის 17 მაისს გაიხსნა. იმ დღეს იტალია უნგრეთს ეთამაშა. „სტადიო ოლიმპიკო“ ორი მხრიდან მონტე მარიოს ფერდობებზეა შემომჯდარი. ქვემოდან, ტიბროსიდან კი მარმარილოს ქანდაკებები სტუმარს სპორტულ პარკ „ფორო იტალიკოში“ ეპატიჟებიან. პარკი სტადიონის გარშემოა და დიდებულ ტრეკსა და საჩოგბურთო ცენტრს მოიცავს.

„სტადიო ოლიმპიკო“ „რომას“ და „ლაციოს“ სახლია. აქ 1960 წელს ოლიმპიადა გაიმართა, ხოლო მძლეოსანთა რამდენი ჩემპიონატი და საფეხბურთო ევროთასების რამდენი ფინალი ჩატარებულა, ვინ მოთვლის. ტრიბუნებზე 82 656 ადამიანი ეტევა.

რეკონსტრუქციის შემდეგ რომის ოლიმპიური სტადიონი თვით პაპმა დალოცა.

ნეაპოლის 85 ათასიანი „სტადიო სან პაოლო“ კი 1959 წლის 6 დეკემბერს გაიხსნა. იმხანად ეს ქალაქის მესამე სტადიონი გახლდათ 1929 წლის შემდეგ. ჩვენს წერილში უამრავჯერ ნახსენები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის „სან პაოლოს“ დაახლოებით 90 მილიონ დოლარიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარეს. უფრო სწორად, 90 მილიონი გამოწერეს, ხოლო იმის გასარკვევად, ამ თანხიდან რამდენი საქმეს დაახარჯეს, რამდენი კი ჯიბეში ჩაიდეს, მოგვიანებით დიდი გამოძიება ჩატარდა, რომელმაც ერთი იმდენი თანხა კიდევ დაახარჯვინა სახელმწიფოს.

ოდესღაც ჩვეულებრივი, ორიარუსიანი ნაგებობა ფოლადის კონსტრუქციით გადახურეს. არქიტექტორს ორიგინალური პროექტით სურდა სტადიონი და ქალაქი ერთმანეთში გადაეხლართა, მაგრამ ეტყობა, ფულის გაფლანგვის გამო, ჩანაფიქრი დაუსრულებლის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ერთი ხნის შემდეგ ხუროთმოძღვრის ვაჟმა მიიყვანა საქმე ბოლომდე, თუმცა მავანნი დღესაც ამბობენ, ადრე „სან პაოლო“ უფრო შინაური და ხიბლიანი იყოო.

ორიოდ სიტყვის თქმა საოცრებათა ქვეყნის სხვა სტადიონებზეც შეიძლებოდა. რაღაცას, თუნდაც საპასპორტო მონაცემებს ყველაზე მოქაქავ კაცი. მაგალითად ფლორენციის „სტადიო კომუნალეზე“ იტყვი, რომ მას უეფას ყოფილი პრეზიდენტის, არტემიო ფრანკის ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელი უწოდეს. თავიდან, 1932 წელს კი ფლორენციელ ფაშისტთა ლიდერის ჯოვანი ბერტას სახელი ერქვა. ტრიბუნებზე 47 995 მაყურებელი ეტევა და სხვა, მაგრამ ამ სარბიელებზე საკუთარი შთაბეჭდილების არქონის გამო ვშიშობ თანდათან ტევადობების და სარეკონსტრუქციო ხარჯების ჩამოთვლამდე არ დავიდე.

მთავარი ჩემთვის „სან სიროზე“ საუბარი იყო. რა და როგორ შევძელი, აკი უკვე მოვყევი.

**ილია ბაბუნაშვილი**

## ინგლისი

### XXII ტური

# რავანელი ფსკერზე დაეშვა

### ასტონ ვილა 2:2 ნიუკასლი

**ასტონ ვილა:** **ბოზნიჩი, ნელსონი (შიმეცა 33), რაიტი, ეჰიოგუ, სტონტონი, საუთგეიტი, თაუნსენდი, ტაილერი, მილოშევიჩი, ჯონსონი, იორკი (იოაშიმი 67)**
**ნიუკასლი:** **ჰისლოპი, უოტსონი, ბერესფორდი, ბეტი, პიკოკი, ალბერი, ელიოტი, გილესპი, ბერდსლი, შირერი, კლარკი**
**გოლი:** **შირერი (16), კლარკი (21), იორკი (39), მილოშევიჩი (52)**

ტერი მაკდერმოტი პირველად გაუძღვა „ნიუკასლს“, რომელსაც აკლდნენ დაშავებული ჟინოლა და ფერდინანდი, რობერტ ლი კი დისკვალიფიცირებული იყო, ამიტომაც სტუმრები თავდასხმაში მოიკოჭლებდნენ. ტრავმირებულია ასპრილიაც და იგი ძირითადში კარგა ხანია არ გამოჩენილა. მეშვიდე წუთზე „ასტონ ვილას“ დაწინაურება შეეძლო, მაგრამ ჰისლოპმა იორკს ახლოდან დარტყმული აუღო. ვერ გაიტან, გაგიტანენო, და, შირერმაც მე-16 წუთზე მასპინძლები დააღონა, ხუთ წუთში კი კლარკმა ორამდე გაზარდა სხვაობა. ტაიმის მიწურულს ტრინიდადელმა იორკმა ცაციათი იმარჯვა. მეორე ტაიმის დაწყებიდან შვიდ წუთში ჰისლოპმა ბურთი ვერ მოიხელთა, მილოშევიჩმაც უბრალოდ წაჰკრა ფეხი და ანგარიში გათანაბრდა. „ვილას“ მესამე გოლიც უნდა გაეტანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა იორკმა ვერ ივარგა, 61-ზე კი ამ უიღბლოს ჰისლოპმა პენალტიც აუღო.

### ბლექბერნი 4:0 ქოვენთრი

**ბლექბერნი:** **ფლაუერსი, კენა, შერვუდი (ფენტონი 86), ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი (დონისი 73), სატონი, ბოჰინენი, ვილკოქსი, ბერგი, ფლიტკროფტი**
**ქოვენთრი:** **ოგრიზოვიჩი, შოუ, ვილემსი, დეიში, რიჩარდსონი, დაბლინი, მაკალისტერი, სალაკო (ჯესი 46), ტელფერი, ბოროუზი, ჰაკერბი**
**გოლი:** **სატონი (17, 34), გალაჰერი (30), დონისი (76)**
**გაძევება:** **დაბლინი (21)**

„ბლექბერნს“ მესამე წუთზევე შეეძლო დაწინაურება, მაგრამ მერე გაყოჩაღებულმა სატონმა იმჯერად ახლოდან აცილა. „ქოვენთრის“ მცველები ძალზე უსუსურად ირჯებოდნენ და მალე გრემ ლე სოს ჩაკიდებულს სატონმა თაური დაურთო და ანგარიშიც გახსნა. ოთხ წუთში დაბლინი უხეშად ეთამაშა ბერგს და ნაადრევადაც დაატოვებინეს მოედანი. სტუმართა ისედაც საცოდავ დაცვას ამან მთლად ბოლო მოუღო და „ქოვენთრი“ პირველივე ტაიმში განადგურდა. მეორე ტაიმში ვითარება არ შეცვლილა, მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, გატანით კი ერთილა გაიტანეს: თავი მოედანზე სამი წუთის წინ გასულმა ბერძენმა გეორგ დონისმა გამოიჩინა.

### ლიდსი 3:0 ლესტერი

**ლიდსი:** **მარტინი, კელი, დორიგო, ვეზეროლი, უოლესი, დინი, ბოუერი, ბისლი, ჯექსონი, რაში, მოლენაარი**
**ლესტერი:** **კელერი, გრეისონი, იზეტი (რობინსი 76), ტეილორი, კლარიჯი, პარკერი, ჰესკი, ჰილი (კემბელი 67), პრაიორი, მარშალი, ლუისი (ლოურენსი 67)**
**გოლი:** **ბოუერი (40), რაში (45, 69)**

„ნიუკასლთან“ დიდანგარიშიანი მარცხის შემდეგ „ლიდსი“ მალე მოეგო გონს და მომდევნო მეტოქე იმავე ანგარიშით დაამარცხა. მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. გოლები ტაიმის მიწურულს კი გავიდა, მაგრამ მასპინძლებს თავიდანვე შეეძლოთ დაწინაურება — ბისლიმ და რაშმა ორი მომენტი გააცუდეს, შემდეგ კი ჰოლანდიელმა დებიუტანტმა რობერტ მოლენაარმა აცილა მცირედით. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებს ძირითადის ექვსი მოთამაშე აკლდათ. სტუმრებს კი ოთხი. 35-ე წუთზე დორიგოს დარტყმა ძელმა მოიგერია, ერთ წუთში კელერმაც ივაჟკაცა — ზედიზედ მოიგერია დინისა და ბოუერის უძლიერესი დარტყმები, თუმცა ლიდსელებმა კარი მშრალად მაინც არ შეანახვინეს და ჯერ ბოუერმა გაუტანა, შემდეგ იან რაშმა. მეორე ტაიმის დასაწყისში დინს კი გაუცუდდა მომენტი, მაგრამ ორბურთიანმა სხვაობამ დიდხანს არ გასტანა და რაშმა დინის პასით მესამეც გაიტანა.

### ლივერპული 0:0 ვესტ ჰემი

**ლივერპული:** **ჯეიმსი, მაკატირი, რადოკი (კარაგერი 46), მატეო, ბები (კოლიმორი 36), ბიორნებიუ, მაკმანამანი, ტომასი, ბარნსი (კენედი 78), ბერგერი, ფაულერი**
**ვესტ ჰემი:** **მიკლოშკო, ბრეიკერი, დიქსი, ვილიამსონი (პოტსი 46), ბიშოპი, რიპერი, პორფირიუ (ნიუელი 67), მონკური (ლაზარიდისი 86), ჰიუზი, ბილიჩი**



ასტონ ვილა — ნიუკასლი. მილოშევიჩი სტუმარ ლი კლარკს გაურბის

„ვესტ ჰემის“ დაცვა შეუდარებელი გახლდათ. დიქსი ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა თანაგუნდელებს და ამ უძნელეს მატჩში მრისხანე „ლივერპულს“ ორი ქულა დააკარგვინა. წითლების კაპიტან ბარნსს საწყის ექვს წუთში ორჯერ მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ სტუმრების დაცვამ ივაჟკაცა. მალე მაკმანამანმა და ბერგერმა გაითამაშეს კომბინაცია, რომელსაც თითქოს უეჭველად უნდა მოჰყოლოდა გოლი, მაგრამ ბრეიკერმა ბოლო წამს მოიგერია ბურთი. მერე თამაში თანდათან გაწონასწორდა და ჯეიმსის კართანაც შეიქმნა ხიფათი. 25-ე წუთზე ვილიამსონმა კუთხური ჩააწოდა, რიპერმა უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ჯეიმსმა ივარგა. 35-ე წუთზე სტუმართა პორტუგალიელ ლეგიონერ უგო პორფირიუს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ვეტერანმა ბარნსმა იმარჯვა. ტაიმის მიწურულს ბერგერის დარტყმა მიკლოშკომ ფეხით მოიგერია. მეორე ტაიმში ჯეიმსმა რიპერს კვლავ აუღო უძნელესი დარტყმა. ლივერპულელები გრძელი პასებით ცდილობდნენ სტუმართა დაცვის ხაზის გადალახვას, მაგრამ ბოლო წამს უზუსტოდ თამაშობდნენ კოლიმორი, ფაულერი, მაკმანამანი და ბერგერი. ხანდახან მიკლოშკოც ყოჩაღობდა.

### მიდლსბრო 0:1 საუთჰემპტონი

**მიდლსბრო:** **უოლში, კოქსი, უაიტი, ვიკერსი, ემერსონი (სტამპი 78), მასტრო, ჟუნინიო, რავანელი, ფლემინგო, ბლექმორი, ჰინეტი (ბექი 78)**
**საუთჰემპტონი:** **ტეილორი, ვანგობელი, ნილსონი, მონკუ, ბერკოვიჩი (ლე ტისიე 71), მეჯილტონი, ოუკლი, ჰიუზი, რობინსონი, ოსტენსტადი, ბენალი**
**გოლი:** **მეჯილტონი (59პ)**
**გაძევება:** **ბლექმორი (59)**

„მიდლსბრომ“ ლიგის თასზე „ლივერპული“ 2:1 დაამარცხა და შეხვედრას იმედიანად შეხვდა — მატჩის წინ მასპინძელთა მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა განაცხადა, კლუბიდან არ მივდივარო. სტუმრებს კარში დებიუტანტი ტეილორი კი ეყენათ, მაგრამ მასპინძლებმა მას ვერაფერი დააკლეს. პირველ ტაიმში ტეილორმა კოქსს, ჰინეტს, ჟუნინიოს და რავანელის რამდენიმე ძლიერი დარტყმა აუღო, მე-40 წუთზე კი ბრწყინვალე ნახტომით მოიგერია ჰინეტის საჯარიმო. უსაქმოდ არც უოლში იყო — იმავე მე-40 წუთზე მან ჰიუზს მოაცარვინა ხელი, მეორე ტაიმში კი, პენალტამდე ორი წუთით ადრე, ბერკოვიჩის თაური მოიგერია. პენალტის საქმე კი ასე იყო: სტუმართა ერთ-ერთი შეტევისას ოუკლის კუთხურიდან ჩაწოდებულს მონკუმ თავი შეაგება, ბლექმორმა კი კარიდან ხელით გამოიტანა ბურთი. მსაჯმა „ხელმარჯვე“ მიდლსბროელიც გააძევა და 11-მეტრიანიც დანიშნა. მატჩის შემდეგ დამარცხებულთა მწვრთნელმა რობსონმა უარყო ხმები რავანელის იტალიაში დაბრუნების შესახებ. პირიქით, განაცხადა, მილანის „ინტერიდან“ 2,7 მილიონ გირვანქად მცველი ჯანლუკა ფესტაც ვიყიდეთო.

### ნოტინგემი 2:0 ჩელსი

**ნოტინგემი:** **კროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ბარტ-უილიამსი, ფილიპსი, სონდერსი (ალენი 84), უოენი, ჰაალანდი, კლაფი**
**ჩელსი:** **გროდასი, პეტრესკუ, ლებეფი, მეიერსი (ვიალი 54), ჰიუზი, დაბერი, ბარლი (უაიზი 61), დიმატეო, ხინკლერი, ნიუტონი, ძოლა**
**გოლი:** **პირსი (40), ბარტ-უილიამსი (53)**

„ნოტინგემს“ ამ თამაშზე სეზონში ყველაზე მეტი — 28 ათასი ქომაგი მიუვიდა. მას შემდეგ, რაც კლუბს სტიუარტ პირსი ჩაუდგა სათავეში, გუნდმა თამაშს უმატა და ქულას ქულაზე აგროვებს. სტუმრებს დისკვალიფიცირებული კაპიტანი სტივენ კლარკი აკლდათ. შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით კი წარიმართა, მაგრამ სტუმრებს ორჯერ მიეცათ ანგარიშის გახსნის შანსი, თუმცა კროსლი ჯერ მეიერსის დარტყმას დაუხვდა ყოჩაღად, მერე კი დი მატეოსას. ტაიმის იმ მონაკვეთში მასპინძლებსაც ამდენჯერვე შეეძლოთ გატანა: ჯერ უოენმა აცილა მცირედით, შემდეგ კი სონდერსის დარტყმული მოიგერია გროდასმა, თუმცა ტაიმის მიწურულს იგი ვერას გახდა პირსის დარტყმასთან. მეორე ნახევარში „ჩელსიმ“ შეტევებს კი უმატა, მაგრამ ძოლას გადაცემებით პარტნიორები ვერ ხეირობდნენ. მეორე გოლი ბარტ-უილიამსმა შორეული დარტყმით გაიტანა, ერთ წუთში კი მოედანზე საკმაო ხანს უთამაშებელი ვიალი გამოჩნდა, თუმცა, ეტყობა, ფორმა სათანადოდ ვერ აღიდგინა და დარჩენილ დროში თავი ვერაფრით გამოიჩინა.

### შეფილდი 2:1 ევერტონი

**შეფილდი:** **პრესმენი, ატერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, უოქერი, ვითინგემი, ბუთი (ჰერსტი 45), ჰაიდი, ნიკოლი, სტეფანოვიჩი, ჰამფრიზი**
**ევერტონი:** **საუთჰოლი, ბარეტი, უოტსონი, ფილანი (ბრენჩი 45), სტიუარტი, რიდო (გრანტი 50), ფერგიუსონი, სპიდი, ბარმბი, კანჩელსკისი, დანი (ანსუორსი 62)**
**გოლი:** **პემბრიჯი (22), ჰერსტი (50), ფერგიუსონი (63)**

13 მატჩია, მასპინძლები არ დამარცხებულან. საერთოდ, „შეფილდის“ წინაამდეგ, რაც „ევერტონში“ გადავიდა, კანჩელსკისი განსაკუთრებით ძლიერად თამაშობს, შარშანდელ სეზონში სამი გოლიც კი გაუტანა, მაგრამ ამ შეხვედრაში მას თავი არაფრით გამოუჩენია. პირველ ნახევარში საუთჰოლმა ორჯერ ცალი ხელით მოიგერია პემბრიჯისა და ჰამფრიზის დარტყმული ბურთები, თუმცა მალე ორი ხელითაც ვერაფერი გააწყო პემბრიჯის საჯარიმო დარტყმასთან. ტაიმის მიწურულს პრესმენმა საოცარი რეაქცია გამოავლინა: ვითინგემს მოხვედრილი ბურთი რიკოშეტით წავიდა კარისკენ, მეკარემ კი რაღაც სასწაულით თავისიანებს ერთბურთიანი უპირატესობა შეუნარჩუნა. მეორე ნახევრის დაწყებისთანავე „ევერტონმა“ სახიფათოდ შეუტია, მაგრამ ვერ გაიტანა, მასპინძლებმა კი საპასუხო იერიში გოლით დაასრულეს. „ევერტონმა“ მთელი ძალით შეუტია და გოლსაც ეღირსა. მანამდე პრესმენმა ორჯერ მოიგერია ბარმბის დარტყმა, თუმცა ფერგიუსონის თაური გაუშვა. ამ უკანასკნელს კიდევ შეეძლო გატანა და ანგარიშის გათანაბრება, თუმცა პრესმენი აღარ შემცდარა და თაური აუღო.

### სანდერლენდი 1:0 არსენალი

**სანდერლენდი:** **პერესი, ჰალი, მელვილი, ორდი, კუბიცკი, კელი, ვილიამსი, ბრაისველი, გრეი, მულინი, ბრიჯისი (რასელი 45)**
**არსენალი:** **სიმენი, უინტერბერნი (მოუზი 80), ვიეირა, ბოულდი, ადამსი, კიოუნი, პარლოუ, ჰარტსონი, პლატი, მერსონი, ბერგკამპი**
**გოლი:** **ადამსი (66 საკ.კარ.)**
**გაძევება:** **ბერგკამპი (29)**

„სანდერლენდმა“ სენსაციურად გაიმარჯვა. სტუმრები არ მოელოდნენ მასპინძელთა ამგვარ თავგამოდებას და გაშვებული გოლის შემდეგ მთელი დრო მსაჯთან კამათში გაატარეს. ამ ერთობ დაძაბულ შეხვედრაში არბიტრმა უხვად ჩამოარიგა ყვითელი ბარათები. თამაში ხეირიანად არც დაწყებულიყო, რომ პლატი გააფრთხილა. „არსენალი“ შეტევებს მიეძალა, გოლი კი არ ჩანდა, ამან ლონდონელები აანერვიულა და 29-ე წუთზე ბერგკამპს ბრაისველთან უხეშობა გაძევებად დაუჯდა. რამდენიმე წუთში კინაღამ ჰარტსონიც გაუყვა მის გზას, როცა ორდს ეთამაშა უხეშად. მე-40 წუთზე პერესმა მერსონის ძლიერი დარტყმა მოიგერია, ორიოდ წუთში კი სიმენმა გამოიჩინა თავი, როცა გრეის არ გაატანინა. მეორე ნახევარში კაცნაკლული „არსენალი“ მასპინძლებს ეკვეთა, მაგრამ „სანდერლენდის“ დაცვა მაგრად დადგა და კარიც მშრალად შეინახა, იერიშებით გართულ სტუმრებს კი მასპინძელთა კონტრშეტევა გამოეპარათ და ორდის პასის ჩაჭრის მცდელობისას სტუმართა კაპიტანმა ადამსმა ავტოგოლი გაიტანა.

### უიმბლდონი 1:1 დერბი ქაუნთი

**უიმბლდონი:** **სალივანი, კანინგემი, კიმბელი, ჯოუნსი, ბლექველი, ლეონარდსენი (მაკალისტერი 83), ერლი, ეკოკუ (კლარკი 87), გეილი, პერი, ერდლი**
**დერბი:** **ჰოლტი, როუეტი, ს.პაუელი, იატსი (დ.პაუელი 34), სტარიჯი, ასანოვიჩი, უორდი (ვილემსი 80), ლარსენი, კარსლი, ფლინი (დეილი 75), მაკგართი**
**გოლი:** **გეილი (60), ვილემსი (84)**

ბოლო ხუთ მატჩში „დერბიმ“ მეორე გოლი გაიტანა. „უიმბლდონი“ გამარჯვებას იმსახურებდა, მაგრამ იღბალმა ბოლო მომენტში უმტყუნა. პირველ ტაიმში კიმბელმა, ერლიმ, ერდლიმ და ეკოკუმ ანგარიშის გახსნის ჩინებული შესაძლებლობანი დაჰკარგეს, რამაც „დერბი“ პირველ ტაიმშივე განადგურებას გადაარჩინა. ორჯერ, 21 და 36-ე წუთებზე კარგად ითამაშა ჰოლტმა, როცა ბლექველის და ერლის მიერ დარტყმული ბურთები აიღო, ერთხელ კი სახიფათოდ დარტყმული ჯარიმა კუთხურზე მოიგერია. 56-ე წუთზე ეკოკუმ კვლავ დაკარგა გატანის ბრწყინვალე შანსი, ოთხ წუთში კი, როგორც იქნა, „უიმბლდონმა“ გაიტანა. საპასუხო მოედანზე 4 წუთის შესულმა ვილემსმა შეაგდო როუეტის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ.

### ტოტენჰემი 1:2 იუნაიტედი

**ტოტენჰემი:** **უოქერი, ედინბურგი, კალდერვუდი, ჰოუელსი, კემბელი, კარი (ფოქსი 83), სინტონი, ალენი, ვეგა (ოსტინი 70), უილსონი, ივერსენი**
**იუნაიტედი:** **შმაიხელი, ნევილი, კინი, სქოულზი (პობორსკი 70), იონსენი (კასპერი 78), მეი, სოლსკიაერი (კოული 89), პალისტერი, კანტონა, ბექემი, გიგზი**
**გოლები:** **სოლსკიაერი (23), ალენი (44), ბექემი (76)**

„იუნაიტედმა“ კი გაიმარჯვა, მაგრამ კარგად არ უთამაშია. პირველ ტაიმში ძირითადად მასპინძლები უტევდნენ, თუმცა, სტუმართა დაცვის სამეული — პალისტერი, იონსენი და მეი მაგრად იდგნენ. მე-15 წუთზე ივერსენი პალისტერს გაცდა, მისი დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია, სინტონი დამატებას შეეცადა, მაგრამ პალისტერმავე [illegible] და მდგომარეობა [illegible]. მალე კანტონამ კარგი გადაცემა [illegible] სოლსკიაერს [illegible] მოიშორა პრემიერლიგის დებიუტანტი რამონ ვეგა და ანგარიშიც გახსნა. გოლის შემდეგ მასპინძლებმა კიდევ უფრო იძალეს და გაათანაბრეს კიდეც: კუთხურიდან სინტონმა ჩააწოდა, ყველას შეეცარიელმა ვეგამ დაასწრო და ბურთი ექვს მეტრში მყოფ რონი ალენს დაუგდო, ვინაც შმაიხელის კარის დალაშქვრა არ დააყოვნა. მეორე ტაიმში ვეგა კანტონასთან უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს. მალე „იუნაიტედმა“ პობორსკი შეიყვანა, ჩეხის მიერ შექმნილი სახიფათო მომენტი სოლსკიაერმა გააცუდა, სამ წუთში ისევ პობორსკიმ წამოიწყო კომბინაცია, იონსენმა გააგრძელა, ბექემმა კი იგი უოქერის კარის აღებით დაასრულა. „შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაში კი უსახური იყო — განაცხადა ალექს ფერგიუსონმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 23 | 12 | 7 | 4 | 38-20 | 43 |
| მანჩესტერი | 22 | 11 | 8 | 3 | 44-26 | 41 |
| არსენალი | 22 | 11 | 7 | 4 | 38-21 | 40 |
| ნიუკასლი | 22 | 11 | 5 | 6 | 40-24 | 38 |
| უიმბლდონი | 20 | 11 | 5 | 4 | 34-24 | 38 |
| ასტონ ვილა | 22 | 10 | 6 | 6 | 31-21 | 36 |
| ჩელსი | 22 | 9 | 8 | 5 | 33-31 | 35 |
| შეფილდი | 21 | 7 | 10 | 4 | 23-23 | 31 |
| ევერტონი | 22 | 7 | 7 | 8 | 30-31 | 28 |
| ტოტენჰემი | 21 | 8 | 4 | 9 | 23-28 | 28 |
| სანდერლენდი | 22 | 7 | 6 | 9 | 22-30 | 27 |
| ლიდსი | 22 | 7 | 4 | 11 | 19-27 | 25 |
| დერბი ქაუნთი | 21 | 5 | 9 | 7 | 21-26 | 24 |
| ბლექბერნი | 21 | 5 | 8 | 8 | 23-22 | 23 |
| ქოვენთრი | 22 | 5 | 8 | 9 | 22-31 | 23 |
| ლესტერი | 21 | 6 | 5 | 10 | 20-30 | 23 |
| ვესტ ჰემი | 21 | 5 | 7 | 9 | 18-26 | 22 |
| ნოტინგემი | 22 | 4 | 8 | 10 | 21-36 | 20 |
| საუთჰემპტონი | 21 | 5 | 4 | 12 | 29-36 | 19 |
| მიდლსბრო | 22 | 4 | 6 | 12 | 25-41 | 18 |

## პირველი დივიზიონი

### სიტი 1:1 კრისტალ პალასი

**სიტი:** **მარგეტსონი, მაკგოლდრიკი, ინგრემი, ლომასი, საიმონსი, ბრაიტველი, სამერბი, კრინი (უაითლი 72), ჰენი, ქინქლაძე (ყაველაშვილი 79), როსლერი**
**გოლი:** **ტატლი (64 საკ. კარ.), ნდა (83)**

მატჩამდე გაავდრების მიუხედავად შეხვედრას 27 ათასი მაყურებელი დაესწრო. „სიტი“ პირველად თამაშობდა ფრენკ კლარკის ხელმძღვანელობით. გუნდის ლიდერი ისევ და ისევ ქინქლაძე იყო, რომელიც აზრიანი და უზუსტესი პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს. მისი გადაცემით ჯერ როსლერმა ვერ იხეირა, ვინაც ხარიხას გაარტყა ბურთი, შემდეგ კი ქრინიმ მაინცდამაინც სტუმართა მეკარეს მოარტყა ბურთი. გიო პირველივე ტაიმში დაშავდა (ბარძაყი იტკინა), მაგრამ თამაში მაინც გააგრძელა. მან 64-ე წუთზე საჯარიმო დაარტყა, სტუმართა მცველმა ტატლიმ თავით სცადა ბურთის მოგერიება და საკუთარ კარში გაიტანა. საფინალო სასტვენამდე 11 წუთით ადრე გიომ კოჭლობით დატოვა მოედანი, ოთხ წუთში კი რობერტსის საჯარიმო დარტყმას ნდამ თაური უკვე სწორად დაამატა და გააყაიმა.

**ლაშა ბოდუაძე**

**ხხვა მატჩები:** **ბრედფორდი — ოქსფორდი 2:0, გრიმსბი — პორტ ვეილი 1:1, პორტსმუთი — ბოლტონი 0:3, ქპრ — ბარნსლი 3:1, რედინგი — ჩარლტონი 2:2, ვულვერჰემპტონი — ვესტ ბრომვიჩი 2:0. დანარჩენი მატჩები გადაიდო.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 28 | 15 | 10 | 3 | 58:37 | 55 |
| ბარნსლი | 26 | 13 | 8 | 5 | 45:30 | 47 |
| შეფილდი | 26 | 13 | 7 | 6 | 44:28 | 46 |
| ვულვზი | 26 | 12 | 7 | 7 | 36:25 | 43 |
| კრ. პალასი | 26 | 10 | 10 | 6 | 50:28 | 40 |
| ქუინზ პარკი | 27 | 11 | 7 | 9 | 40:36 | 40 |
| სტოკ სიტი | 25 | 11 | 7 | 7 | 33:26 | 40 |
| ტრანმერი | 27 | 11 | 6 | 10 | 36:34 | 39 |
| ნორვიჩი | 26 | 11 | 6 | 9 | 35:36 | 39 |
| პორტ ვეილი | 27 | 9 | 11 | 7 | 30:27 | 38 |
| ოქსფორდი | 27 | 10 | 7 | 10 | 37:31 | 37 |
| ჰადერსფილდი | 27 | 9 | 8 | 10 | 32:35 | 35 |
| ჩარლტონი | 27 | 10 | 5 | 12 | 29:36 | 35 |
| იფსვიჩი | 27 | 8 | 10 | 9 | 34:38 | 34 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 7 | 12 | 8 | 43:44 | 33 |
| სვინდონი | 26 | 10 | 3 | 13 | 26:34 | 33 |
| პორტსმუთი | 28 | 9 | 6 | 13 | 30:35 | 33 |
| ბირმინგემი | 24 | 8 | 9 | 7 | 24:23 | 33 |
| რედინგი | 27 | 7 | 9 | 11 | 30:39 | 30 |
| ოლდემი | 25 | 6 | 9 | 10 | 28:31 | 27 |
| სიტი | 26 | 8 | 3 | 15 | 28:41 | 27 |
| ბრედფორდი | 28 | 6 | 8 | 9 | 26:44 | 26 |
| საუთენდი | 26 | 5 | 10 | 11 | 46:45 | 25 |
| გრიმსბი | 25 | 5 | 8 | 12 | 37:45 | 23 |

# ბაჯო მილანში რჩება

## იტალია

**იუვენტუსი 0:0 ატალანტა**

25 000 მაყურებელი
იუვენტუსი: პერუცი, პორინი, პესოტო, დეშამპი, ჯულიანო, ფერარა, დი ლივიო (ლომბარდო 74), იუგოვიჩი, ბოკშიჩი (ვიერი 24; ამორუზო 46), დელ პიერო, პადოვანო
ატალანტა: პინატო, მირკოვიჩი, ბონაჩინა, რუსტიკო, კარერა, სოტილი, სგრო (როტელა 90), გალო (კარბონე 62), ინძაგი, მორფეო (ფორტუნატო 82), ლენტინი
გაფრთხილება: პადოვანო, რუსტიკო, მორფეო, პინატო

**მილანი 1:0 ვიჩენცა**

60 000 მაყურებელი
მილანი: ს. როსი, რაიციგერი, კოკო, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, ერანიო (სავიჩევიჩი 75), დესაი, დუგარი (ამბროზინი 63), ბობანი (დევიდსი 84), სიმონე
ვიჩენცა: მონდინი, სარტორი, ბეგეტო, დი კარლო, ბელოტი, მ.როსი, ლოპესი, ვივიანი (ამბროზეტი 59), კორნაჩინი (მურჯიტა 59), მაინი, ოტერო
გოლი: დუგარი (21)
გაფრთხილება: ამბროზინი, დევიდსი, სარტორი, ბელოტი, ამბროზეტი
გაძევება: დესაი (61)

**ბოლონია 0:1 პარმა**

27 765 მაყურებელი
ბოლონია: ანტონიოლი, კარდონი (სენო 45), პარამატი, ტაროცი (შალიმოვი 66), ტორიზი, დემარკი, ბრეშანი (მაროკი 75), მაგონი, ფონტოლანი, სკაპოლო, კოლივანოვი
პარმა: ბუფონი, მუსი, ზენარივო, ზე მარია, ტურამი, კანავარო, ბრავო, დ. ბაჯო, სტანიჩი, კრიპა, სტრადა (ბრამბილა 81)
გოლი: სტრადა (I ტაიმის 48-ე)
გაფრთხილება: კანავარო, კრიპა, ზე მარია

**ნაპოლი 1:2 ინტერი**

50 000 მაყურებელი
ნაპოლი: ტალიალატელა, კოლონეზე, კრასონი, ბოლოსიანი (კაიო 57), ბალდინი, აიალა, ტურინი (ესპოზიტო 69), კრუსი, ალიეტი (კაჩა 69), ბეტო, პეკია
ინტერი: პალიუკა, ძანეტი, ანგლომა, ფრეზი (ბერტი 88), მ.პაგანინი, გალანტე, სფორცა, ვინტერი, ბრანკა, ჯორკაეფი, განცი (ბერგომი 72)
გოლი: ბრანკა (43), ჯორკაეფი (88), კაჩა (90)
გაფრთხილება: ფრეზი, ჯორკაეფი, ძანეტი
გაძევება: ბეტო (60)

**პიაჩენცა 0:0 უდინეზე**

9 000 მაყურებელი
პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, ტრამეძანი (პარი 65), დი ფრანჩესკო, მ. კონტე, ლუჩი, პიოვანი (ვალტოლინა 85), ვალოტი (მორეტი 65), ლუიზო, შიენცა, ტენტონი
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, სერჯო, როსიტო, პიერინი, ბია (კალორი 48), ნიკოლი, დეზიდერი, ამოროზო (კლემენტი 91), სტროპა, პოჯი (კაპიოლი 62)
გაფრთხილება: პიოვანი, ბერტოტო, სერჯო

**რეჯანა 0:0 ფიორენტინა**

15 000 მაყურებელი
რეჯანა: ბალოტა, მაცი, პარენტე, გროსი, გალი, ბაიერსდორფერი, საბეუ, დე ნაპოლი, სიმუტენკოვი, მაცოლა, სკენარდი
ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, პუშედუ, პიაჩენტინი (რობიატი46), ფალკონე, პადალინო, ბიჯიკა, შვარცი, ბაიანო, რუი კოშტა, ოლივეირა
გაფრთხილება: მაცი, პიაჩენტინი

**რომა 4:1 პერუჯა**

48 166 მაყურებელი
რომა: ჩერვონე, ანონი (რომონდინი 91), ლანა, დი ბიაჯო (ბერნარდინი 82), ალდაირი, პეტრუცი, ტომაზი, ტერნი, ბალბო, ტოტი, მორიერო (სტატუტო 73)
პერუჯა: კოჩიჩი, გაუტიერი, კრეეკი (გატუზო 60), კასტელინი, დიკარა (გოტინი 73), მატრეკანო, ალეგრი, ჯუნტი, პიცი, მანიკონე, რაპაიჩი
გოლი: ბალბო (26პ, 86), რაპაიჩი (36), მორიერო (I ტაიმის 47-ე), ტერნი (68)
გაფრთხილება: ანონი, ტოტი, პეტრუცი, კრეეკი, დიკარა, ალეგრი, კასტელინი
გაძევება: ჩერვონე (94)

**ვერონა 1:1 ლაციო**

16 106 მაყურებელი
ვერონა: გუარდალბენი, სივილია, ვანოლი, ბაჩი, ბარონი, ფატორი, კოლუჩი, ორლანდინი (ამეტრანო 92), მანიერო (დევიტისი 83), ფიკადენტი, ძანინი (მანეტი 46)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ფავალი, ოკონი, ნესტა, ფიში, ბუზო (გოტარდი 75), ფუზერი, კაზირაგი, ნედვედი, სინიორი
გოლი: ფიში (33), ორლანდინი (61პ)
გაფრთხილება: დევიტისი, ფატორი, მანეტი, ძანინი, ნეგრო

**სამპდორია 4:1 კალიარი**

26 000 მაყურებელი
სამპდორია: ფერონი (სერენი 46), ბალერი, პეზარეზი, კარემბუ, საკეტი, მიხაილოვიჩი, კარპარელი (სალსანო 74), ლეილი, მონტელა, ვერონი (ინვერნიცი 90)
კალიარი: აბატე, პანკარო, ბეტარინი, ვილა, ლონსტრუპი, მუცი (ბრესანი 74), სკუგუჯა, კოძა (რომერო 59), სანა (ტაკოლი 78), ბერეტა, ტოვალიერი
გოლი: კარემბუ (27), ტოვალიერი (42), კარპარელი (48), მონტელა (66,92)
გაფრთხილება: სკუგუჯა, ბეტარინი, კარპარელი, მუცი, ტოვალიერი
გაძევება: ბერეტა (60), კარემბუ (68), რომერო (68)

„იუვენტუსს" გამოფხიზლება მართებს. ტურინელების საახალწლო ექსტკლუზიანი უპირატესობა დამნაშავესავით სადღაც გაიპარა. შინ „ატალანტასთან" ვერმოგება იმას ნიშნავდა, რომ „ბებერმა ქალბატონმა" ბოლო სამ თამაშში მხოლოდ ორი ქულა მოაგროვა.

პირველ ტაიმში „იუვე" უტევდა. „ატალანტას" მეკარე დავიდე პინატო ორჯერ გადაეღობა ალესანდრო დელ პიეროს ბურთს. მეორე ტაიმში კი სტუმრები გამოცოცხლდნენ. „მილანისგან" შეძენილმა, ოდესღაც მსოფლიოს უძვირესმა მოთამაშემ ჯანლუიჯი ლენტინიმ, 52-ე წუთზე თითქმის ნახევარ მოედნიანი დრიბლინგის შემდეგ ძელს გაარტყა ბურთი. ტურინელთა ხორვატი თავდამსხმელი ალენ ბოკშიჩი კი პირველი ტაიმის შუაში დაშავდა და ხვალ „პარი სენ ჟერმენთან" სუპერთასის მატჩს გამოტოვებს.

„ინტერს" ილბალი წყალობს, ყოველ შემთხვევაში ასე თვლის მისი ინგლისელი მწვრთნელი როი ჰოჯსონი, რომელიც წინა კვირაში, თავის ფეხბურთელებს სპორტული სულის არქონაში სდებდა ბრალს. მილანელმა შავ-ლურჯებმა ნეაპოლში გაიმარჯვეს, რითაც გულშემატკივრებს კვლავ ჩაუსახეს სკუდეტოს იმედი. კარგად ითამაშა გოლკიპერმა პალიუკამ. „ნაპოლის" ქმედებათაგან ორი რამაა გამოსაყოფი: მცველის ბეტოს გაძევება (ხელით ორჯერ თამაშისთვის) და ნიკოლა კაჩას გოლი (ბურთის თავზე გადაგდებით).

მილანელმა შავ-წითლებმაც გაიმარჯვეს. არიგო საკიმ ამ შეხვედრაში ტაქტიკური სიურპრიზი აახლა გულშემატკივრებს, თანაც მომგებიანი. მან დეიან სავიჩევიჩიცა და რობერტო ბაჯოც სკამზე დასვა, მოედანზე კი ფრანგი ფორვარდი კრისტოფ დუგარი განაწესა. დუგარიმ გაუმართლა ხელმძღვანელს, სიმონეს პასით 21-ე წუთზე თაური შეაგდო. რაც შეეხება სტუმართა გუნდს, მისმა ორმა წევრმა რობერტო მურჯიტამ და მაურიციო როსიმ 88-ე და 90-ე წუთებზე გოლები კი გაიტანეს, მაგრამ რად გინდა, ორივეჯერ ოფსაიდი იყო.

რობერტო ბაჯო, როგორც მოგახსენეთ, კვლავ სკამზე იჯდა. ამ სეზონში მან სულ 632 წუთი დაჰყო მოედანზე, მაგრამ როგორც გაირკვა „მილანიდან" წასვლას სეზონის ბოლომდე არსად აპირებს. საქმე ისაა, რომ „ნაპოლის" შეფმა ოტავიო ბიანკიმ მათთან გადასვლა შესთავაზა. ყველამ კარგად იცის, რომ 29 წლის ბაჯოსა და „მილანის" ახალ მწვრთნელს არიგო საკის ერთმანეთის ცქერა დიდად არ ეპიტნავებათ და შესაბამისად ფეხბურთელის ნეაპოლში წასვლას ელოდნენ, მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა:

— ბუნებრივია ძლიერ მოხარული ვარ, რომ ვიღაცას კიდევ სჯერა ჩემი. მე ხომ უამრავი ადამიანის აზრით კარგი ფეხბურთელი აღარ ვარ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ერთადერთი, რაზეც ახლა ვფიქრობ, „მილანია". ნეაპოლიდან მიღებულ მიწვევაზე კი მშვიდად დაფიქრება მმართებს — განაცხადა 1993 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა.

თურმე ბაჯოს არ დაუკარგავს „მილანის" ჩემპიონობის იმედი და იმავდროულად ნაკრებში დაბრუნებაზეც ფიქრობს.

— ჩემი მიზანი ნაკრებში დაბრუნება და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშია, მაგრამ საამისოდ კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება მმართებს — თქვა მან.

„პარმას" მწვრთნელის კარლო ანჩელოტის ნათქვამი — ვგონებ გუნდი ჩავარდნის პერიოდიდან გამოვიყვანეო — მართალი გამოდგა. პარმელებმა კვლავ მოიგეს, ამჯერად ბოლონიაში. მართალია ბოლონიელებმა ორჯერ ძელს გაარტყეს ბურთი, მაგრამ მათგან განსხვავებით პარმელმა პიეტრო სტრადამ მიზანს არ ააცილა. ახლა „ბოლონიას" შვიდი მოუგებელი თამაში დაუგროვდა.

„პარმას" დიდების დროინდელმა მწვრთნელმა ნევიო სკალამ კი ახალ გუნდში სადებიუტო მატჩი „რომასთან" 1:4 წააგო. რომის ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ ამ შეხვედრაში არგენტინელმა რომაელმა აბელ ბალბომ ორი გოლი გაიტანა, სულ თერთმეტი დაუგროვდა და ახლა ატალანტელ ფილიპო ინძაგისთან და გენუელ ვინჩენცო მონტელასთან ერთად ჩემპიონატის ბომბარდირთა სიის სათავეშია.

გენუაში, „სამპდორია" — „კალიარის" მატჩშიც მასპინძელმა მონტელამ ორჯერ დალაშქრა მეტოქის კარი, თუმცა, მიუხედავად ამისა, თამაშის გმირად ვეტერანი რობერტო მანჩინი აღიარეს. მანჩინიმ, „სკუადრა აძურაში" დაბრუნება გულში რომ ამოუჭრია, იმ დღეს სამი საგოლე პასი შეასრულა. მას ასე კარგად მას მერე არ უთამაშია, რაც „ინტერში" გადასვლა ჩაეშალა. თავიდან მანჩინიმ კრისტიან კარემბუს დაასკუპა ბურთი თავზე და ფრანგმაც არ ააცილა, შემდეგ კი მონტელას გაატანინა ორივე გოლი. რაც შეეხება კარემბუს, იგი მოგეხსენებათ ესპანური ფეხბურთის გიგანტებს „რეალსა" და „ბარსელონას" სურთ და ერთმანეთში მის გადასაბირებლად სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი აქვთ გამართული. ფერადკანიანი ფრანგი ამ გაურკვევლობამ როგორც ჩანს გაანერვიულა, რაც „კალიარისთან" თამაშისას იმით გამოხატა, რომ 70-ე წუთზე ლუის რომეროს უხეშობას ქუჩურად უპასუხა, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს.

**საპუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 16 | 8 | 6 | 2 | 21-12 | 30 |
| სამპდორია | 16 | 8 | 4 | 4 | 31-20 | 28 |
| ინტერი | 16 | 7 | 7 | 2 | 25-18 | 28 |
| ვიჩენცა | 16 | 7 | 5 | 4 | 25-16 | 26 |
| ფიორენტინა | 16 | 6 | 7 | 3 | 24-16 | 25 |
| მილანი | 16 | 7 | 3 | 6 | 23-19 | 24 |
| პარმა | 16 | 6 | 6 | 4 | 16-14 | 24 |
| რომა | 16 | 6 | 5 | 5 | 26-22 | 23 |
| ლაციო | 16 | 6 | 5 | 5 | 18-14 | 23 |
| ნაპოლი | 16 | 6 | 5 | 5 | 19-22 | 23 |
| ბოლონია | 16 | 6 | 4 | 6 | 22-21 | 22 |
| ატალანტა | 16 | 5 | 6 | 5 | 19-21 | 21 |
| უდინეზე | 16 | 5 | 4 | 7 | 23-25 | 19 |
| პიაჩენცა | 16 | 4 | 6 | 6 | 15:22 | 18 |
| პერუჯა | 16 | 5 | 2 | 9 | 20-30 | 17 |
| კალიარი | 16 | 3 | 5 | 8 | 18-27 | 14 |
| ვერონა | 16 | 2 | 5 | 9 | 17-30 | 11 |
| რეჯანა | 16 | 1 | 7 | 8 | 14-27 | 10 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ინძაგი (ატალანტა) | 11 |
| ბალბო (რომა) | 11 |
| მონტელა (სამპდორია) | 11 |
| მანჩინი (სამპდორია) | 10 |
| ოტერო (ვიჩენცა) | 9 |
| ლუიზო (პიაჩენცა) | 8 |
| ჯორკაეფი (ინტერი) | 8 |
| ვეა (მილანი) | 7 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 7 |
| სინიორი (ლაციო) | 7 |
| კოლივანოვი (ბოლონია) | 6 |
| ოლივეირა (ფიორენტინა) | 6 |
| კიეზა (პარმა) | 6 |
| ბირჰოფი (უდინეზე) | 6 |

**სერია B**

მე-17 ტური. დი სანგრო — სალერნიტანა 1:0, ემპოლი — ჯენოა 2:1, ფოჯა — ბრეშია 1:2, ლეჩე — პესკარა 2:1, ლუკეზე — ტორინო 0:1, პადოვა — ბარი 1:1, პალერმო — კოზენცა 1:3, რავენა — ჩეზენა 2:0, რეჯინა — კრემონეზე 1:0, ვენეცია — კიევო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 17 | 10 | 5 | 2 | 29-18 | 35 |
| რავენა | 17 | 8 | 6 | 3 | 23-16 | 30 |
| ტორინო | 17 | 8 | 4 | 5 | 23-18 | 28 |
| ბრეშია | 17 | 7 | 7 | 3 | 20-15 | 28 |
| პესკარა | 17 | 7 | 6 | 4 | 22-15 | 27 |
| ბარი | 17 | 5 | 11 | 1 | 23-13 | 26 |
| ემპოლი | 17 | 7 | 5 | 5 | 19-18 | 26 |
| პადოვა | 17 | 5 | 9 | 3 | 19-18 | 24 |
| ჯენოა | 16 | 4 | 9 | 3 | 21-14 | 21 |
| ლუკეზე | 17 | 4 | 9 | 4 | 14-13 | 21 |
| ფოჯა | 17 | 5 | 5 | 7 | 17-23 | 20 |
| კიევო | 17 | 4 | 8 | 5 | 17-18 | 20 |
| პალერმო | 17 | 3 | 9 | 5 | 16-20 | 18 |
| სალერნიტანა | 17 | 4 | 6 | 7 | 9-16 | 18 |
| ვენეცია | 17 | 4 | 6 | 7 | 20-22 | 18 |
| კოზენცა | 17 | 4 | 6 | 7 | 18-24 | 18 |
| რეჯინა | 17 | 3 | 8 | 6 | 15-21 | 17 |
| ჩეზენა | 17 | 2 | 9 | 6 | 12-16 | 15 |
| დი სანგრო | 16 | 4 | 3 | 9 | 7-18 | 15 |
| კრემონეზე | 17 | 3 | 5 | 9 | 10-18 | 14 |

## FRANCE 98 შესარჩევი ტურნირი

### სამხრეთ ამერიკა

VII ტური. 12 იანვარი

**პერუ 2:1 ჩილე**

პერუ: მირანდა, სოლანო, რეინოსო, სოსე სოტო, ოლივარესი, ლეგარიო, სერანო, მალდონადო (პერედა 46), პალასიოსი, მაესტრი (სორსოსოტო 79), სულინიო (კარტი 77)
ჩილე: ტაპია, კასტანედა, ს.გონსალესი, რეიესი, მირანდა, მუსრი (რივეროსი 57), მორა, კორნესო, როზენტალი (კონტრერასი 81), სამორანო, ვერგარა (პ. გონსალესი)

პერუელებმა იმთავითვე შექმნეს რამდენიმე საგოლე მომენტი, მე-14 წუთზე კი საწადელს მიაღწიეს: ფლავიო მაესტრიმ ასხლეტილს დაამატა. მათი მეორე შედეგიანი შეტევა 34-ე წუთზე განხორციელდა, როდესაც პირველი გოლის ავტორმა მაესტრიმ რობერტო პალასიოსს კარგი ასისტენტობა გაუწია, თუმცა მანამდე ჩილელებმა ლამის გაქვითეს. სებასტიან როზენტალის დარტყმა ძელმა მოიგერია. თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე, ნოლბერტო სოლანოს წინააღმდეგ უხეშობისთვის მოედნიდან ჩილელი ფერნანდო კორნესო გააძევეს. აღსანიშნავია, რომ ჩილელებმა წითელი ბარათი წინა შეხვედრაშიც იხილეს, არგენტინასთან 1:1-ის დროს. 88-ე წუთზე კი ივან სამორანომ თაურით გოლის წყურვილი მოიკლა.

**ბოლივია 2:0 ეკვადორი**

ბოლივია: ტრუკო, ოჩოაისპური, პენია, სანდი, სანჩესი, კრისტალდო, ბალდივიესო (მელგარი 70), სორია, კასტილიო (გუტიერესი 65), ეჩევერი, მორენო (რამალო 75)
ეკვადორი: მორალესი, რივერა, მონტანიო, ტენორიო, კონონესი, კარაბალი, ი. ურტადო, აგინაგა, დელაკრუზი (სოუზა 46), ჩალა (დელგადო 70), ფერნანდესი (ე. ურტადო 46)

ბოლივიელებმა საქმე საწყის თორმეტ წუთში მოითავეს. ამ მონაკვეთში გავიდა ორივე გოლი. პირველი „მიდლსბროს" ყოფილმა თავდამსხმელმა ხაიმე მორენომ შეაგდო, მეორე კი მათმა საუკეთესო ფეხბურთელმა მარკო ეჩევერიმ.

ლა პასზე და ზღვის დონიდან მის 3600 მეტრზე საუბარმა აზრი დაკარგა. წინა სამ საშინაო შეხვედრაში ბოლივიელებმა ფრე ითამაშეს და ეკვადორთან გამარჯვება ამითაც იყო თვალშისაცემი. სიმაღლესა და გაიშვიათებულ ჰაერს ადრე ჰქონდა მნიშვნელობა, წინა შესარჩევში, როცა მათ თავის სტადიონზე ყველა თამაში მოიგეს, ახლა კი მეტოქეებმა იციან როგორ უნდა მოემზადონ უჩვეულო პირობებისთვის.

მორენომ მარცხენა ფეხით გახსნა ანგარიში, მე-7 წუთზე, კუთხურიდან, ხოლო ეჩევერიმ მე-12-ზე მრავალპასიანი კომბინაცია დააგვირგვინა ზუსტად.

**ვენესუელა 0:2 პარაგვაი**

ვენესუელა: დუდამელი, მაკინტოში, მედინა, ეჩენიკე, ვალენილა, რამოსი, კასტელანოსი (ტისამო 46), ნაბოლინი (ვალიენტე 68), ურდანეტა, სავარესე, პერესი
პარაგვაი: დაისი, არკე, სარაბია, გამარა, ალკარასი, ენკისო, ბენიტესი (მესა 73), სტრუვე, აკუნა, როხასი (ბაესი 73), კოენერი (ფერეირა 78)

პარაგვაი მე-5 წუთზე მიგელ ანხელ ბენიტესმა დააწინაურა, 62-ზე კი ხულიო ენკიზომ მეორე და ბოლო გაიტანა. მიუხედავად მასპინძელთა პროტესტისა, ოფსაიდი იყოო, მსაჯმა ენკიზოს გოლი ჩათვალა.



ბოლივია — ეკვადორი. ეს-ესაა ეჩევერიმ მეორე გოლი გაიტანა

**ურუგვაი 0:0 არგენტინა**

ძველი დრო რომ ყოფილიყო, ამ ორი გუნდს საინტერესო არაფერი ექნებოდა, ისე მღერა-მღერით გაეიდოდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ახლა, ახალ დროებაში საქმე სხვაგვარადაა. სხვათაშორის ურუგვაი და არგენტინა ისტორიაში პირველად დაპირისპირდნენ შესარჩევ ეტაპზე.

მოსალოდნელი ჩხუბი და აყალ-მაყალი არ შედგა. მსაჯს მხოლოდ სამჯერ მოუხდა ყვითელი ბარათის ჩვენება.

ურუგვაელები ინიციატივას ფლობდნენ, უტევდნენ, მაგრამ არგენტინელმა მეკარემ იგნასიო გონსალესმა ითამაშა კარგად. გონსალესი მეხუთე გოლკიპერია, დანიელ პასარელამ ამ შესარჩევ ციკლში რომ გამოსცადა. განსაკუთრებით თვალსასეირო მე-7 წუთზე გაელვებული ეპიზოდი იყო, როდესაც ბებერი ურუგვაელის ენცო ფრანჩესკოლის დარტყმული ეფექტურად მოიგერია მეკარემ.

— ჩვენ რთულ გამოცდას გავუძელით და მესამე ადგილი შევინარჩუნეთ ამ უძნელეს შესარჩევ ჯგუფში — მატჩის შემდეგ კმაყოფილებით აღნიშნა დანიელ პასარელამ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 7 | 5 | 2 | 0 | 14:5 | 17 |
| პარაგვაი | 7 | 4 | 2 | 1 | 8:3 | 14 |
| არგენტინა | 7 | 2 | 4 | 1 | 10:7 | 10 |
| ურუგვაი | 7 | 3 | 1 | 3 | 6:6 | 10 |
| ბოლივია | 7 | 2 | 3 | 2 | 11:7 | 9 |
| ეკვადორი | 7 | 3 | 0 | 4 | 8:9 | 9 |
| პერუ | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | 9 |
| ჩილე | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | 8 |
| ვენესუელა | 8 | 0 | 1 | 7 | 5:23 | 1 |

### აფრიკა

**I ჯგუფი**

კენია 1:1 ნიგერია
ბურკინა ფასო 0:2 გვინეა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გვინეა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ნიგერია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| კენია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ბურკინა ფასო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

**II ჯგუფი**

ნამიბია 0:0 ლიბერია
ტუნისი 1:0 ეგვიპტე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ეგვიპტე | 2 | 1 | 0 | 1 | 7:2 | 3 |
| ლიბერია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ნამიბია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:7 | 1 |

**III ჯგუფი**

ზამბია 0:0 სამხრეთ აფრიკა
ზაირი 1:1 კონგო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კონგო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ს. აფრიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ზაირი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ზამბია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

**IV ჯგუფი**

კამერუნი 0:0 ანგოლა
ზიმბაბვე 3:0 ტოგო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ანგოლა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ზიმბაბვე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ტოგო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

**V ჯგუფი**

სიერა ლეონე 1:0 გაბონი
განა 2:2 მაროკო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| სიერა ლეონე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| განა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| გაბონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

## ფეხბურთის რუკასთან



**შოტლანდიის დედაქალაქში შაბათს 74 წლისა გარდაიცვალა „რეინჯერსისა“ და შოტლანდიის ნაკრების ყოფილი წევრი და წამყვანი მოთამაშე ჯორჯ იანგი. 1940-50 წლებში მან ნაკრების შემადგენლობაში 53 მატჩი ითამაშა.**

საფრანგეთში გაიმართა ლიგის თასის მერვედფინალები: კაენი — მეცი 1:0, სტრასბური — კანი 2:0, ლე მანსი — მონაკო 1:3, ბორდო — მარსელი 1:0, ტულონი — ლენსი 0:1, ნიმი — მონპელიე 0:1, ლუანი — ნანტი 0:0 პენ. 4:2. რენი — ლიონის მერვედფინალური შეხვედრა მოგვიანებით შედგება. კვირას გამართულმა კენჭისყრამ მეოთხედფინალში გუნდები ასე დააწყვილა: მონპელიე და რენი — ლიონს შორის გამარჯვებული, სტრასბური — ლუანი, ბორდო — კაენი, ლანსი — მონაკო. პირველი მატჩები 28-29 იანვარს ჩატარდება.

**ბრაზილიაში სამი სახელოვანი კლუბი განუდგა რიოს შტატის ახლადაწყებულ პირველობას. „ბოტაფოგომ“, „ფლუმინენსემ“ და „ფლამენგომ“ პროტესტი განაცხადეს 12 გუნდიან ჩემპიონატში მონაწილეობაზე, რადგან, მათი აზრით, სუსტ მეტოქეებთან თამაში სრული უაზრობაა. გასამართი ექვსი მატჩიდან მხოლოდ სამი შედგა. „ვასკუ და გამამ“ 1 600 გულშემატკივრის თანდასწრებით 3:0 მოუგო „ბანგუს“. მასპინძელთაგან არ თამაშობდა ფორვარდი ედმუნდო, რომელმაც პლაჟზე თამაში ამჯობინა.**

ინგლისში, შესაძლოა, ახალი ტრანსფერი შედგეს. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მზადაა 8 მილიონი დოლარი გადაიხადოს „ბლექბერნის“ მცველ ჰენინგ ბერგში. ნორვეგიელი მოთამაშე ოთხი წლის წინ მოვიდა პრემიერლიგაში „ლილესტრომიდან“. დღესდღეობით იგი ინგლისის ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლება.

**გერმანიაში მრავლად იმართება დარბაზის მინი-ტურნირები, რომელშიც ბუნდესლიგის კლუბებიც მონაწილეობენ. ერთ-ერთ ტურში თამაშისას დაშავდა „კარლსრუეს“ ფორვარდი შონ დანდი. ექიმების დასკვნით, იგი 10 დღე შეისვენებს იძულებით. დეკემბერში მან გერმანიის მოქალაქეობა მიიღო და ახლა ამ ქვეყნის ნაკრებშიც შეუძლია თამაში. არ არის გამორიცხული, ფოგტსმა იგი ისრაელის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახოს.**



შონი, გვარად დანდი

ინგლისის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ, „მიდლსბროს“ მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა უარყო ხმები კლუბის დატოვების შესახებ. „აქ მე ბედნიერი ვარ. გაზეთები ცრუობენ, როცა ჩემს წასვლას იუწყებიან“ — განაცხადა მან. კლუბის თავმჯდომარემ სტივ გიბსონმა თქვა, რომ ვერ ხედავს რობსონის წასვლის აუცილებლობას. მას მწვრთნელთან ამის შესახებ საუბარიც კი არ ჰქონია.

**ლიბანის დედაქალაქში გამართულ ამხანაგურ მატჩში ამ ქვეყნის ნაკრებმა ალჟირს უმასპინძლა. შეხვედრა ფრედ — 2:2 დასრულდა და მას 12 ათასი მაყურებელი დაესწრო.**

ინგლისში დღეს სასამართლოს წინაშე წარდგებიან „უიმბლდონისა“ და „ლივერპულის“ მეკარეები ჰანს სეგერსი და ბრიუს გრობელაარი, აგრეთვე „ასტონ ვილას“ ყოფილი ფორვარდი ჯონ ფაშანუ და მალაიზიელი ბიზნესმენი ჰენ სუან ლიმი. მათ ბრალად ედებათ თამაშების გაყიდვა და ტოტალიზატორში ფულის მოგება. სასამართლოს გადაეცემა დოკუმენტი, სადაც მოყვანილია ბოლო 2 წელიწადში ჩატარებული გამოძიების შედეგები.

# რობსონმა, არაო...

„ნიუკასლიდან“ კიგანის წასვლამ კლუბში მწვრთნელის პრობლემა წამოჭრა. კლუბის ხელმძღვანელობას ჯერ პრემიერლიგის გუნდების მწვრთნელობას მიაკითხა, შემდეგ ევროპაშიც გადაინაცვლა. მერე იყო და, ნიუკასლში დაბადებულ-გაზრდილი „ბარსელონას“ თავკაცის — ბობი რობსონის მოყვანა განიზრახეს და კიგანის წასვლიდან რამდენიმე დღეში სამკაციანმა დელეგაციამ ესპანეთს მიაშურა. 63 წლის ალბიონელ მწვრთნელთან შეხვედრამ და კარგა ხნის საუბარმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. „ნიუკასლის“ წარგზავნილებმა რობსონს ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა საკმაოდ დიდ თანხად, მაგრამ ეტყობა, მწვრთნელი ისეა მოხიბლული ბარსელონით, რომ დარჩენა ისურვა. იქ წელიწადში 600 ათას გირვანქას უხდიან. კატალონიურ კლუბთან მას ორწლიანი კონტრაქტი აქვს. ტელევიზიით გამოსვლისას რობსონმა აღნიშნა, რომ 18 წელი ოცნებობდა „ბარსელონას“ მწვრთნელობაზე, როგორც იქნა, საწადელი აისრულა და ახლა გადაწყვეტილი აქვს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ესპანეთის ჩემპიონობა მოიპოვოს, მწვრთნელის რანგში მან „პ.ს.ვ.“-სთან ერთად ჰოლანდიისა და „პორტუსთან“ პორტუგალიის პირველობებში იმარჯვა. „აგვისტოში ბარსელონაში მოსვლა ჩემი დიდი ხნის ოცნების ახდენა იყო. ხუთი თვის შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნება შემომთავაზეს. ძალიან მინდა ინგლისში, მაგრამ „ბარსელონას“ დატოვებაც მიძნელდება. მინდა, კლუბს მოვუტანო წარმატება, რომელიც ბოლო ორი წელია არ ჰქონია“. — განაცხადა რობსონმა. მის ტელეინტერვიუს, როგორც ჩანს, კარგად ისმენდა „ბარსელონას“ უფროსობა, რაკი მოგვიანებით გამართულ საგანგებო პრეს-კონფერენციაზე კლუბის წარმომადგენლებმა ინგლისელს საქციელი შეუქეს და მიღებული გადაწყვეტილების გამო ერთხმად ჯენტლმენი უწოდეს.

## ესპანეთი

XIX ტური

**ტენერიფე 0:1 სოსიედადი**
0:1 ადეპოჟუ (58)

**ატლეტიკო 5:1 სარაგოსა**
1:0 კამინერო (1), 2:0 პანტიჩი (34), 3:0 კიკო (44), 3:1 იგერა (52), 4:1 კიკო (53), 5:1 ეხნაიდერი (66 პ)

**სევილია 2:1 ოვიედო**
1:0 პროხინეჩკი (33 პ), 1:1 დუბოვსკი (62), 2:1 პროხინეჩკი (90)

**კომპოსტელა 1:1 რასინგი**
1:0 ოპენი (31), 1:1 შურერი (65)

**ბილბაო 2:2 სელტა**
1:0 ხიგანდა (8), 1:1 გუდელი (55), 2:1 ალკიზა (56), 2:2 ბერხეხი (76)

**ვალიადოლიდი 1:1 დეპორტივო**
0:1 რივალდო (9), 1:1 ფერნანდესი (10)

**ვალენსია 1:0 რაიო ვალეკანო**
1:0 გალვეხი (90)

**ლოგრონიესი 1:0 ესპანიოლი**
1:0 ტეხერა (90)

**ესტრემადურა 0:0 რეალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 19 | 12 | 7 | 0 | 35:13 | 43 |
| ბარსელონა | 18 | 12 | 4 | 2 | 48:21 | 40 |
| დეპორტივო | 19 | 10 | 8 | 1 | 26:10 | 38 |
| ბეტისი | 18 | 10 | 6 | 2 | 37:15 | 36 |
| ატლეტიკო | 19 | 10 | 5 | 4 | 38:23 | 35 |
| სოსიედადი | 19 | 10 | 4 | 5 | 26:21 | 34 |
| ვალიადოლიდი | 19 | 8 | 6 | 5 | 24:21 | 30 |
| ტენერიფე | 19 | 8 | 4 | 7 | 33:21 | 28 |
| ბილბაო | 19 | 7 | 7 | 5 | 31:26 | 28 |
| ვალენსია | 19 | 8 | 3 | 8 | 28:24 | 27 |
| რასინგი | 19 | 6 | 8 | 5 | 20:20 | 26 |
| სელტა | 19 | 6 | 6 | 7 | 21:23 | 24 |
| რაიო | 18 | 6 | 5 | 7 | 23:21 | 23 |
| ოვიედო | 19 | 6 | 4 | 9 | 23:27 | 22 |
| კომპოსტელა | 19 | 5 | 5 | 9 | 17:32 | 20 |
| ესპანიოლი | 19 | 5 | 4 | 10 | 21:28 | 19 |
| სპორტინგი | 18 | 4 | 6 | 8 | 18:24 | 18 |
| ლოგრონიესი | 19 | 5 | 3 | 11 | 14:42 | 18 |
| სევილია | 18 | 5 | 2 | 11 | 15:27 | 17 |
| სარაგოსა | 19 | 2 | 8 | 9 | 19:34 | 14 |
| ერკულესი | 18 | 3 | 3 | 12 | 15:33 | 12 |
| ესტრემადურა | 19 | 1 | 6 | 12 | 11:35 | 9 |

## პორტუგალია

მე-15 ტური. ამადორა — სპორტინგი 0:1; ბენფიკა — პორტუ 1:2; ბრაგა — ლეცა 1:0; ლეირია — ფარენსე 0:0; სეტუბალი — რიუ ავე 1:1; სალგეიროში — ბოავიშტა 3:2; ჟილ ვისენტე — მარიტიმუ 1:2; შავეში — ეშპინიუ 1:0; ბელენენსეში — გიმარაეში 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 15 | 13 | 2 | 0 | 33:7 | 41 |
| ბენფიკა | 15 | 10 | 3 | 2 | 30:8 | 33 |
| სპორტინგი | 15 | 9 | 3 | 3 | 20:7 | 30 |
| ბრაგა | 15 | 7 | 5 | 3 | 21:19 | 26 |
| ესპინიუ | 15 | 8 | 2 | 5 | 18:17 | 26 |
| სეტუბალი | 15 | 5 | 7 | 3 | 19:16 | 22 |
| ამადორა | 15 | 6 | 4 | 5 | 17:14 | 22 |
| ფარენსე | 15 | 5 | 6 | 4 | 13:12 | 21 |
| შავეში | 15 | 5 | 5 | 5 | 15:20 | 20 |
| ბოავიშტა | 15 | 4 | 6 | 5 | 21:19 | 18 |
| გიმარაეში | 15 | 5 | 3 | 7 | 21:23 | 18 |
| ლეცა | 15 | 5 | 3 | 7 | 18:20 | 18 |
| სალგეიროში | 15 | 4 | 6 | 5 | 19:22 | 18 |
| მარიტიმუ | 15 | 4 | 5 | 6 | 16:22 | 17 |
| ბელენენსეში | 15 | 4 | 4 | 7 | 18:28 | 16 |
| ლეირია | 15 | 3 | 3 | 9 | 9:23 | 12 |
| ჟილ ვისენტე | 15 | 2 | 2 | 11 | 15:29 | 8 |
| რიუ ავე | 15 | 0 | 3 | 12 | 11:28 | 3 |

## შოტლანდია

23-ე ტური. დანდი იუნაიტედი — დანფერმლაინი 3:1; სელტიკი — ჰართსი 2:1; რეით როვერსი — კილმარნოკი 1:0; ჰიბერნიანი — მოზერველი 1:2; რეინჯერსი — აბერდინი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 22 | 18 | 2 | 2 | 59:19 | 56 |
| სელტიკი | 21 | 14 | 3 | 4 | 54:22 | 45 |
| დანდი იუნ. | 23 | 10 | 6 | 7 | 31:20 | 36 |
| ჰართსი | 23 | 9 | 6 | 8 | 34:33 | 33 |
| აბერდინი | 23 | 8 | 6 | 9 | 32:36 | 30 |
| დანფერმლაინი | 22 | 8 | 5 | 9 | 34:44 | 29 |
| ჰიბერნიანი | 23 | 6 | 5 | 12 | 24:38 | 23 |
| მოზერველი | 22 | 5 | 6 | 11 | 22:39 | 21 |
| კილმარნოკი | 21 | 6 | 2 | 13 | 25:42 | 20 |
| რეით როვერსი | 22 | 5 | 3 | 14 | 17:39 | 18 |


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ახალ წელს — ახალი კოეფიციენტებით!**

ევროპის სუპერთასი. პირველი მატჩი

15 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| პარი სენ-ჟერმენი — იუვენტუსი | 2,3 | 2,5 | 2,6 |

ესპანეთის თასის მესამე ეტაპი. საპასუხო მატჩები

15 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბილბაო — ვილიარეალი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| ბეტისი — გრანადა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| რაიო ვალეკანო — ოსასუნა | 1,35 | 3,2 | 6,5 |
| ლოგრონიესი — სელტა | 2,1 | 2,7 | 2,8 |
| კომპოსტელა — ოვიედო | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| რასინგი — სარაგოსა | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| სპორტინგი — ესპანიოლი | 1,4 | 3,1 | 6,0 |
| დეპორტივო — სევილია | 1,25 | 3,8 | 7,0 |
| ვალიადოლიდი — რეალი | 4,4 | 2,9 | 1,6 |

ინგლისის თასის მეორე წრის მატჩების ფსონებს ადგილზე გაეცნობით.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.



# ბავშვთა კვება Gerber



## ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

Gerber კომპანია გერბერის პროდუქციაში არ გამოიყენება არანაირი ქიმიური კონსერვანტი

Gerber 1928 წლიდან მოყოლებული კომპანია გერბერმა დაამზადა 60 მილიარდამდე საკვები პროდუქტის შესაფუთი და არ ყოფილა პროდუქტის მიკრობიოლოგიური დაბინძურების არცერთი შემთხვევა. შესაბამისად — პროდუქტის თერმოგადამუშავებასთან დაკავშირებული მოწამვლის არცერთი ფაქტი.

Gerber ამერიკის ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავის დროზე „გერბერის ჩვილი“ იყო.

ფირმა გერბერი 1928 წლიდან უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა უმრავლესობისა და მილიონობით პატარის კვებას მთელ მსოფლიოში.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**10 იანვარი**

ლოს ანჯელეს ლეიკერზი — მაიამი ჰითი 94:85, დეტროიტ პისტონზი — სან ანტონიო სფურზი 84:78, ფინიქს სანზი — შარლოტ ჰორნეთსი 102:90, ჩიკაგო ბულზი — მილუოკი ბაქსი 116:101, ინდიანა პეისერზი — დენვერ ნაგითსი 108:89, ჰიუსტონ როკიტსი — ფილადელფია-76 120:99, ნიუ იორკ ნიქსი — ბოსტონ სელტიქსი 111:98, ვაშინგტონ ბულიტსი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 102:98

**11 იანვარი**

ატლანტა ჰოქსი — სან ანტონიო სფურზი 87:82, ვაშინგტონ ბულიტსი — კლივლენდ კავალიერზი 98:85, დეტროიტ პისტონზი — იუტა ჯაზი 87:77, ტორონტო რეპტორზი — ნიუ ჯერსი ნეთსი 123:106, მინესოტა ტიმბერვულვზი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 95:93, ნიუ იორკ ნიქსი — ბოსტონ სელტიქსი 112:99, ჩიკაგო ბულზი — ჰიუსტონ როკიტსი 110:86, დალას მავერიქსი — დენვერ ნაგითსი 104:99, სიეტლ სუპერსონიქსი — ინდიანა პეისერზი 92:82, საკრამენტო კინგზი — ვანკუვერ გრიზლიზი 109:101

**12 იანვარი**

ორლანდო მეჯიქი — ტორონტო რეპტორზი 88:85, მილუოკი ბაქსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 111:93, შარლოტ ჰორნეთსი — საკრამენტო კინგზი 97:93

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ნიუ იორკი | 26 | 9 | 74,3 |
| მაიამი | 25 | 10 | 71,4 |
| ვაშინგტონი | 19 | 15 | 55,9 |
| ორლანდო | 13 | 18 | 41,9 |
| ნიუ ჯერსი | 9 | 23 | 28,1 |
| ბოსტონი | 8 | 25 | 24,2 |
| ფილადელფია | 8 | 26 | 23,5 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 30 | 4 | 88,2 |
| დეტროიტი | 26 | 8 | 76,5 |
| ატლანტა | 21 | 11 | 65,6 |
| კლივლენდი | 21 | 13 | 61,8 |
| შარლოტი | 19 | 16 | 54,3 |
| მილუოკი | 18 | 17 | 51,4 |
| ინდიანა | 16 | 17 | 48,5 |
| ტორონტო | 12 | 23 | 34,3 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| ჰიუსტონი | 27 | 8 | 77,1 |
| იუტა | 23 | 12 | 65,7 |
| მინესოტა | 16 | 19 | 45,7 |
| დალასი | 12 | 20 | 37,5 |
| სან ანტონიო | 9 | 25 | 26,5 |
| დენვერი | 9 | 26 | 25,7 |
| ვანკუვერი | 7 | 29 | 19,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერზი | 27 | 10 | 73,0 |
| სიეტლი | 26 | 11 | 70,3 |
| პორტლენდი | 19 | 16 | 54,3 |
| საკრამენტო | 15 | 22 | 40,5 |
| კლიპერზი | 14 | 21 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 13 | 21 | 38,2 |
| ფინიქსი | 11 | 24 | 31,4 |

### ჩიკაგო — ჰიუსტონი 110:86

ჩიკაგო: ჰარპერი (2), ჯორდანი (32), პიპენი (17), როდმანი (8), ვენინგტონი (7); კუკოჩი (20), პერიში (2), ბრაუნი (8), კერი (2), კეფი (12), ბიუშლერი
ჰიუსტონი: მელოუნი (9), დრექსლერი (7), ელი (9), ბარკლი (8), ოლაჯუონი (29); ვილისი (6), ლივინგსტონი (9), მეკი (4), პრაისი (2), მური, ჰარინგტონი, ბალარდი (3)

კონფერენციათა ლიდერების მატჩმა იმედი გაუცრუვა გულშემატკივრებს. აღმოსავლელებმა ერთი თავით აჯობეს დასავლელებს, თანაც წარმატების მოპოვების არავითარი შანსი არ დაუტოვეს.

მთავარი იყო თავდამსხმელთა დუელი. ლიგის ორ საუკეთესო მომხსნელს ბარკლის და როდმანს ერთმანეთისთვის ანგარიში უნდა გაესწორებინათ. უპირატესობა როდმანისა იყო — მან 18:7 მოუგო ბარკლის მოხსნებში, ქულები კი ორივემ თანაბრად დააგროვა. ოღონდ, თუკი ჩიკაგოელის საშუალო შედეგიანობა 6 ქულას აღწევს, ჰიუსტონელი 20 ქულას აკეთებდა ხოლმე. ბარკლის და როდმანს ერთმანეთი არ უყვართ. მიუხედავად ამისა, სერ ჩარლზმა მატჩის შემდეგ თქვა: „როდმანს, როგორც მოთამაშეს, დიდ პატივს ვცემ, დენისმა ჩვენი შეტევები ჩაშალა და მეც მაჯობა. ბევრჯერ მითქვამს, რომ „ჩიკაგო“ მსოფლიოში უძლიერესი გუნდია.“

გუნდების წამყვანი სამეულების ბრძოლაც ჩიკაგოელთა უპირატესობით დამთავრდა: ჯორდანმა, როდმანმა და პიპენმა ყველაფერში აჯობეს ბარკლის, ოლაჯუონს და დრექსლერს: ქულებში — 57:44, მოხსნებში — 31:21, პასებში — 18:9.

მატჩის ბედი კი მესამე მეოთხედის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გაირკვა. „ჰიუსტონი“ 58:57 იგებდა. ჯორდანმა ერთი, ხოლო პიპენმა ორი სამქულიანი ზედიზედ ჩააგდეს და გაოგნებულ „როკიტსს“ გონზე მოსვლის საშუალება არ მისცეს.

## „ფინიქსი“ კვლავ ბითუმად ვაჭრობს

„ფინიქს სანზი“, რომელიც ცუდ დღეშია, მდგომარეობის გამოსწორებას მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვით ლამობს. ამას წინათ გუნდმა „დალასთან“ რამდენიმეკაციანი ვაჭრობის შედეგად ჯეისონ კიდი ჩაიგდო ხელთ. ამჟამად კი მორიგი საბითუმო ვაჭრობა მოაწყო „ლოს ანჯელეს ლეიკერზთან“. ამრიგად:

„ფინიქსიდან“ „ლეიკერზში“ წავიდნენ: რობერტ ჰორი და ჯო კლაინი.

„ლეიკერზიდან“ „ფინიქსში“ წავიდნენ: სედრიკ სებალოსი და რუმილ რობინსონი.

რობერტ ჰორი სეზონის წინ გადავიდა „ფინიქსში“ „ჰიუსტონიდან“. იგი და კიდევ სამი კალათბურთელი ბარკლიში გაცვალეს. ბოლო დროს ჰორის ურთიერთობა გაუფუჭდა „სანზის“ მწვრთნელ დენი ეინჯთან. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ერთ-ერთ თამაშზე კალათბურთელმა მწვრთნელს პირსახოცი ესროლა, რის გამოც კლუბმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. როგორც ეინჯმა განაცხადა, ჰორის გაყიდვა არაფერ შუაშია პირსახოცის სროლასთან. უბრალოდ, ჩემს სქემებს უფრო სედრიკ სებალოსი მოუხდებაო.

სებალოსმა თავისი კარიერა სწორედ „ფინიქსში“ დაიწყო და ორი წლის წინ „ლეიკერზში“ გაიყიდა. შარშან მანაც აურია. როცა მეჯიქ ჯონსონი გუნდში დაბრუნდა და ფრთის, ანუ სებალოსის ადგილი დაიკავა, სედრიკმა თვითნებურად მიატოვა გუნდი. მაშინ იგი დააჯარიმეს და უკან მოაბრუნეს. ამ სეზონში, 13 ნოემბერს „სან ანტონიოს“ წინააღმდეგ სებალოსმა მარჯვენა მუხლი დაიშავა და 28 მატჩი გამოტოვა. დაშავებულთა სიიდან იგი სწორედ გაყიდვის წინა დღეს ამოწერეს.

35 წლის ცენტრი ჯო კლაინი ნბა-ში მე-11 სეზონს ატარებს. მას უთამაშია „ბოსტონსა“ და „საკრამენტოში“. ამ სეზონში კი საშუალოდ 3,4 ქულას და 3,5 მოხსნას აკეთებდა. მისი შეძენით მეტად კმაყოფილია „ლეიკერზის“ ძირითადი ცენტრი შაკილ ო ნილი: „ჯო კლაინი შეცვლაზე ბევრ სარგებლობას მოგვიტანს“.

30 წლის უკანახაზელ რუმილ რობინსონს მრავალ გუნდში უთამაშია. ამ სეზონის წინ იგი თავისუფალი აგენტი იყო და „ლეიკერზმა“ აიყვანა. 22 მატჩში მისი საშუალო შედეგიანობა 3,0 ქულაა.

„ლეიკერზის“ გენერალურმა მენეჯერმა მიჩ კუპჩაკმა თქვა: „სებალოსი შედეგიანი იყო ჩვენთან და „ფინიქსშიც“ ასეთივე იქნება. ჩვენ ნელ-ნელა ვცვლით გუნდს. მიგვაჩნია, რომ ჰორი უფრო შეგვეფერება. იგი სებალოსზე ახალგაზრდაა და ჩვენს გუნდს სწორედ მისი ტიპის მოთამაშე სჭირდება“.

სებალოსმა და რობინსონმა კვირას ფინიქსში ჩააბარეს ფიზიკური მომზადების ტესტი, ხოლო ჰორი და კლაიანი დღეს ითამაშებენ „ლეიკერზის“ რიგებში „ვანკუვერის“ წინააღმდეგ.



## ნაკრები საფინეთოდ ემზადება

საქართველოს ეროვნული გუნდი ფინელებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის ემზადება. პირველი შეხვედრა ფინეთში 29, 30 ან 31 იანვარს უნდა გაიმართოს. ზუსტი თარიღი ერთ კვირაში დადგინდება. ნაკრები უფროსი მწვრთნელის გია ნარიმანიძის ხელმძღვანელობით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ვარჯიშობს. ფინელებთან თამაშამდე ჩვენს ნაკრებს ხუთი ლეგიონერი შეუერთდება. შეგახსენებთ, რომ კალანდაძე, თურქია, ბოყოჩაძე და კეკელიძე მაკედონიის გუნდებში თამაშობენ, გელაშვილი კი საბერძნეთში. საქართველოს ნაკრების სხვა მეტოქეები ჯგუფში, შვეიცარიის და ბელგიის გუნდები, ერთმანეთს შეხვდებიან იმავე დღეებში, როცა ჩვენები ფინელებს ეთამაშებიან.



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

## ჰოსპიტალი რუსებისთვის

**10 იანვარი.** პიტსბურგი — აილენდერზი 5:2, ნიუ ჯერზი — ჩიკაგო 3:3, დალასი — ფინიქსი 3:4, ვანკუვერი — ჰართფორდი 5:3, ანაჰაიმი — ბუფალო 5:2.
**11 იანვარი.** ოტავა — პიტსბურგი 3:3, მონრეალი — ბოსტონი 6:3, ფილადელფია — ვაშინგტონი 3:3, ედმონტონი — სან ხოსე 1:2, ლოს ანჯელესი — სენტ ლუისი 2:1.
**12 იანვარი.** რეინჯერზი — ნიუ ჯერზი 3:0, ფინიქსი — ბუფალო 2:3, ედმონტონი — ჰართფორდი 2:1, ვანკუვერი — ანაჰაიმი 2:3.

ვანკუვერმა, ვინც ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილურია ლიგაში, შინ ჰართფორდს მოუგო და 50 პროცენტიან ზღვარს მიაღწია. მეტად აქტიურობს ბურე-მოგილნის დუეტი. ამ კვლავ შეამხანაგებული წყვილიდან პირველმა 5 მატჩში 7 შაიბა შეაგდო, მოგილნი კი ასისტენტად მოგვევლინა. ჰართფორდთან ბურემ 3 (1+2) ქულა დააგროვა და გამარჯვების გოლიც (სულ — 18) მიითვალა.

ცოტა ხნის წინ მაჩანჩალა პიტსბურგი ახლა დივიზიონის უეჭველი ლიდერია. პინგვინებმა მორიგ მატჩებში ლემიეს (5 პასი) თავკაცობით 3 ქულა აიღეს და წაუგებელი სერია 12 თამაშამდე (10 მოგება) გააგრძელეს. ლემიეს პარტნიორმა იაგრმა 38-მდე გაზარდა საგოლე მარაგი. თუმცა, ოტავასთან პიტსბურგს ცოტა არ იყოს გაუჭირდა იაშინ-ალფრედსონის (ორივემ 3 ქულა დააგროვა) წყვილის განეიტრალება და მხოლოდ ახლახან ფლორიდიდან გადასული ბარნსის შაიბამ იხსნა.

პიტსბურგი რომ პირველობს, ჰართფორდის უიღბლო თამაშის წყალობაც არის. დივიზიონის ყოფილი ლიდერი იანვარში ერთბაშად სამი საფეხურით ჩამოქვეითდა და საკმაოდ გაირთულა საქმე. ედმონტონში, ოვერტაიმში, ჰართფორდელებმა ფრე გაუშვეს ხელიდან, როცა მასპინძლების პერსპექტიულმა შვედმა ლინდგრენმა (6) კლუბის საუკეთესო გამთამაშებლის უეიტის (1+1, 13) პასი გამოიყენა.

ტრავმათა ეპიდემია დაატყდა თავს რუს ჰოკეისტებს. სემიონოვს და მალახოვს ორი კოლორადოელი — კამენსკი და გუსაროვი დაემატა. ტრავმას ვერც რეინჯერი კოვალიოვი გადაურჩა. საერთოდ, კოლორადო უჩვეულოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. უკვე თვეზე მეტია, არ თამაშობს წამყვანი ცენტრი ფორსბურგი, ბოლოსწინა მატჩში კი კაპიტანი საკიკი დაშავდა. და მაინც, ლიგის ლიდერმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად აუტსაიდერ ტორონტოს გაუსწორდა. ლიდერების არყოფნაში ინიციატივა დიდმარშმა (1+1, 17) იდო თავს და ბოლოსწინა წუთზე ოზოლინშის (1+1, 14) დახმარებით 26-ე გამარჯვება მოუტანა გუნდს.

ამდენივე მოგებაა ფილადელფიის აქტივში. მფრინავებს შავი დღე დაადგათ შაბათს ვაშინგტონში — მეორე პერიოდში სამი უპასუხო შაიბა გაუშვეს, მაგრამ ბრინდამორის ძალისხმევით ბოლო წუთზე გადარჩნენ. გუნდების სნაიპერებმა — ფილადელფიელმა ლეკლერმა (26) და ვაშინგტონელმა ბონდრამ (25) თითო შაიბა მიუმატეს თავიანთ მონაგარს.

ჩიკაგომ მთავარი მეკარე ჟამნოვი კი მოიისაკლისა, მაგრამ სამი ქულა შეიძინა 1995 წლის თასის მფლობელთან პაექრობაში. მოგება მიითვალეს ანაჰაიმმა და სან ხოსემაც. სან ხოსელმა აიეფრეიტმა მე-6 შეიბა შეაგდო. თავის ქალის ურთულესი ოპერაციის შემდეგ დაბრუნებულ გრენატოს კი გმირობა დაუფასეს და „ოლ სტარის“ თამაშზე მიიწვიეს. ვარსკვლავების შემადგენლობაში ითამაშებენ ფილადელფიელი ჰავერჩუკი და ვაშინგტონელი დეილ ჰანტერი (ფეტისოვის შესახებ უკვე გაუწყეთ). ეს თამაში 18 იანვარს გაიმართება სან ხოსეში და მასში მონაწილე ყველა ვარსკვლავის ვინაობას მალე გაცნობებთ.

სამ კალიფორნიულ მატჩში ერთი ქულა აიღო ბუფალომ. ბოლო შეხვედრაში „სეიბრზმა“ ვერ შეაჩერა ბრწყინვალედ მოთამაშე კარია (3+1, 15), ვინც სეზონში პირველი ჰეთ-თრიქი გააკეთა. მერე ბუფალომ ფინიქსში მოიგო. დოუმ (11) ოვერტაიმის მეათე წამზე (სეზონის რეკორდი) შეაგდო. ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა ფლორიდამ თავის ისტორიაში პირველად დაჯაბნა კალგარი.

იანვარში ერთბაშად რამდენიმე მოთამაშემ მიაღწია საიუბილეო შედეგს. ფილადელფიელმა ჰავერჩუკმა 1 400-ე, კოლორადოელმა საკიკმა მე-800, ჩელიოსმა (ჩიკაგო) მე-700, ხოლო იაგრმა მე-600 ქულა დააგროვეს. საკიკმა მე-500, ხოლო იუტსონმა (ბოსტონი) მე-700 პასი გააკეთა. ლემიე 555 პასით ნჰლ-ს ისტორიაში მე-13 გახდა.

**სამველ ლარიბიანი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგი თორაძე, თემურ ქეცბაია, ჯუმბერ ებრალიძე, თემურ ჩიხლაძე

## მიეცით ფული... ისტორიას

ზუსტად ერთი წლის წინ მოსკოვში, ესენგეს თასზე „დინამო“ — „პამირის“ მატჩის შესვენებაზე საოცარ სცენას შევესწარი: „დინამოს“ მანეჟის ფოიეში მშვიდად ბაასობდნენ ვოვა გუცაევი და ალექსანდრე ნოვიკოვი. ფეხბურთში ოდნავ გათვითცნობიერებულმა გულშემატკივარმაც იცის, რომ სწორედ ნოვიკოვის გამო გაატარა გუცაევმა თავისი ბრწყინვალე თხუთმეტწლიანი საფეხბურთო კარიერის ხუთი წელი (დიახ, ზუსტად ხუთი წელი!) საავადმყოფოებში. მაშინ კი ვინანე, რატომ ვიდეოკამერა არა მაქვს თან, ეს სცენა რომ აღებეჭდო, მერე სპორტულ ფილმოთეკებში ნოვიკოვის გუცაევზე ნადირობის სცენები ამოვქექო და ჩინებულ ფილმად შევკრა-მეთქი.

სულ რამდენიმე დღის წინ შევიტყვე, რომ ნოვიკოვ-გუცაევის დუელები ლამის უკლებლივ აღუბეჭდავს ფირზე აწგარდაცვლილ რეზო ოდიშელიძეს, კომპანია „ქართული ტელეფილმის“ ოპერატორს, რომელიც ათ წელზე მეტ ხანს საგანგებოდ „ნადირობდა“ ვოვა გუცაევზე „დინამოს“ სტადიონზე გამართული საკავშირო თუ საერთაშორისო მატჩების დროს, მაგრამ ტელეფილმის დამონტაჟებას ჯერ უსახსრობამ შეუშალა ხელი, მერე კი ოპერატორის სიკვდილმა...

ქართული ტელეფილმი ვახსენე. ვისაც უნახავს „მატჩის დირიჟორი“, „კაისას რჩეულნი“, „ფეხბურთი უბურთოდ“, „ბორის პაიჭაძე“, „ვიქტორ სანეევი“, „ორმოცი ძნელი წუთი“, „ნელი სალაძე“, „შემოდგომის რეპორტაჟი“, „კაპიტანი“, „ფოტორეპორტიორი“, „№ 1“ და სპორტულ თემაზე შექმნილი სხვა ტელეფილმები, უეჭველად მოიწონებდა ქართველ რეჟისორ-ოპერატორთა პროფესიონალიზმს და, რაც მთავარია, სიუჟეტის მიგნების უნარს.

ქართულ სპორტულ ტელეფილმს კი საფუძველი 60-იან წლებში ჩაეყარა, როცა ახალდაარსებული ტელევიზიის ახალდაარსებულმა ტელეფილმების სტუდიამ პირველი ფილმი გადაიღო: რეჟისორების ლერი სიხარულიძის და გელა კანდელაკის და ოპერატორ ტრისტან კანდელაკის „ფეხბურთი უბურთოდ“. სპორტულ ტელეფილმს ხიბლი შესძინეს მიხეილ ჭიაურელმა („ყოფილის დაბრუნება“, „ლევან თედიაშვილი“, „ქეთევან ლოსაბერიძე“, „ლელა მესხი“...), გია გაბელიამ („ვიქტორ სანეევი“) და სხვებმა, ახლა კი ამ საქმის ბედი მეტად ნიჭიერი და ქართულ სპორტზე შეყვარებული ხალხის ხელშია: ჯუმბერ ებრალიძე („თეთრი ბაკურიანი“, „უკანასკნელი ნახტომი“, „ალექსანდრე მეტრეველი“, „კაისას რჩეულნი“, „ფალავნები“, „მატჩის დირიჟორი“, „40 ძნელი წუთი“) ლამის დაარსების დღიდან საქმიანობს „ქართულ ტელეფილმში“ და დღეს სპორტული ტელეფილმების პატრიარქად ითვლება. მას მხარში უდგანან „საშუალო“ თაობის წარმომადგენელი თემურ ჩიხლაძე („ნელი სალაძე“, „შემოდგომის რეპორტაჟი“) და ახალგაზრდა გოგი თორაძე („ფოტორეპორტიორი“, „კომენტატორი“, „№ 1“, „კაპიტანი“). ეს სამეული, ბრწყინვალე იდეებით შთაგონებული და ბოლო დროს ყველა ქართველი ხელოვანისთვის ხელისშემშლელი ქრონიკული უფულობით შეწუხებული, ძალ-ღონეს არ ზოგავს, რათა ახალ იდეებს ხორცი შეასხას. „ქართული ტელეფილმის“ გენერალური დირექტორის მანანა შევარდნაძის დახმარებით ჯუმბერ ებრალიძემ და გოგი თორაძემ ამასწინათ თურქეთში იმოგზაურეს და 30-წუთიანი ჩინებული ფილმი „რეზო-შოთა-აჩი“ გადაიღეს, რომელიც საქართველოს ტელევიზიამ ოქტომბერშიც უჩვენა და 9 ნოემბერსაც, ინგლისთან მატჩის წინ. ამ ფილმმა ზემოხსენებულ სამეულს გადააწყვეტინა, ყველა ქართველ ლეგიონერზე შეექმნა მსგავსი ფილმი და ისტორიისთვის შემოენახა ქართველთა „საქმენი საგმირონი“ უცხოეთში. ბედად, სპონსორიც გამოუჩნდათ ქართული სპორტული ფილმის ბედზე დამაშვრალთ: საგზაო-სამშენებლო ფირმა „თბილისის“ გენერალურმა დირექტორმა ჯამლეთ სურამელაშვილმა მათ საბერძნეთის ტურნე გაუხერხა, სადაც თემურ ქეცბაია და კახი კახიაშვილი მოინახულეს და სტუდია-ცენტრ „სინემას“ ეგიდით „ბერძნული მონაკვეთი“ გადაიღეს ამ ორ ცნობილ სპორტსმენზე. გოგი თორაძე სიცილით იგონებს: კახიაშვილს რესტორანში ჩვენი რეჟისორები დაუპატიჟია და როცა ფულის გადასახდელად ოფიციანტი მისულა, იმას შორს დაუჭერია, ჩემი ქვეყნისთვის ამდენი სიკეთე გიკეთებია და ფულს როგორ გამოგართმევო...

ზემოხსენებული „ბერძნული მონაკვეთი“ ერთი ეპიზოდია 30-წუთიანი ტელეფილმისა, რომელსაც ჯუმბერ ებრალიძე, თემურ ჩიხლაძე და გოგი თორაძე იღებენ ქართველ ლეგიონერებზე. საბერძნეთში ჩვენებურებს დიდად დახმარებია ჩვენი კონსული კოტე გაბელია. ქართველ რეჟისორებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია ქეცბაიას ინტერვიუს: „მე საქართველოდან იმიტომ წამოვედი, რომ ჩემი თავის იმედი მქონდა და ვგრძნობდი, რომ შემეძლო გზა გამეხსნა ქართველი სპორტსმენებისთვის უცხოურ კლუბებში, რაკილა მაშინ ოფიციალურად ჯერ არსად ვიყავით მიღებული“...

სამეული კიდევ ერთ საინტერესო იდეაზე მუშაობს: „შავი კურდღელი — პელე“. ამ უცნაური სახელწოდების ფილმის გაშიფვრას არ შევუდგები, რაკილა საქმეში ჩახედულმა ისედაც მშვენივრად იცის, ჩაუხედავისთვის კი, მოდით, სიურპრიზად დარჩეს...

ჯუმბერ ებრალიძისა და თემურ ჩიხლაძის კიდევ ერთ ჩანაფიქრზე უნდა გითხრათ — მათ ქართველ და ოს ხალხებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენაში თავისი წვლილის შეტანა განუზრახავთ, მასალებიც საკმაოდ აქვთ ანდრო ზაზროევზე, გურამ ცხოვრებოვზე, ზაურ კალოევზე, ვოვა გუცაევზე, ვალერი გაზაევზე და იმ ქართველ სპორტსმენებზე, ოსურ სპორტს რომ დასდეს ამაგი. შევარდნაძის, ლეკიშვილის და გალაზოვის მხარდაჭერაც არ აკლიათ, მაგრამ ჯერჯერობით იდეა იდეადვე რჩება.

ჯუმბერ ებრალიძე, თავის მხრივ, აპირებს 12 ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონზე გააკეთოს ტელეფილმი, მასალებიც, ფაქტიურად, მოძიებული აქვს, მაგრამ აქაც უსახსრობა უშლის ხელს...

და ბოლოს, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ გოგი თორაძის ბოლოდროინდელი ჩანახატები. ალბათ მიხვდით, ლაპარაკია საქართველოს ეროვნული გუნდის მიერ სტუმრად ჩატარებული მატჩების „თამაშგარე“, უნიკალურ მომენტებზე ვიდეოთვალს პროფესიულად რომ მოაქვს მაყურებლამდე. რეჟისორი უსაზღვროდ მადლიერია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა, რომელმაც გაიცნობიერა, თუ რას ნიშნავს მომავალი თაობებისთვის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში საქართველოს ნაკრების პირველად მონაწილეობის ასახვა და ავტორს ყველანაირად შეუწყო ხელი. თორაძის თქმით, ამ თემაზე ზღვა მასალაა და თუ ხელშეწყობა იქნება, ტელეფილმების ჩინებული ციკლის გაკეთება შეიძლება.

დასასრულ კი კვლავ დასაწყისს მინდა დავუბრუნდე. სულ მცირე ფინანსური შემწეობა სჭირდება რეჟისორ თემურ ჩიხლაძეს, უფროსი მეგობრის, რეზო ოდიშელიძის ათი წლის უნიკალურ ნაღვაწს ხორცი რომ შეასხას და ვოვა გუცაევზე ტელეფილმი შექმნას. ვოვა ხომ ჩვენი ფეხბურთის ისტორიის მშვენიერი ფურცელია და რა გახდა ორიოდ კაპიკის გაღება ამ ფილმისთვის და საერთოდ, ამ ნიჭიერი და პროფესიონალი ხალხისთვის?

**მამუკა კმარაცხელია**

## ფორმულა-1

# ახალი მანქანებით

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ორ თვეზე ნაკლები რჩება. დადგა ახალი ბოლიდების პრეზენტაციისა და ტესტირების დრო. პირველი წარდგენა ჯერ კიდევ დეკემბერში მოაწყო ჯეკი სტიუარტმა. მან საზოგადოებას თავისი გუნდი და ავტომობილი გააცნო, მაგრამ სერიოზულ გამოცდას არ შედგომია. საშობაოდ „ბენეტონმაც“ გამოაგორა ბოლიდი „სილვერსტოუნზე“, მაგრამ ოფიციალური წარდგენა და ტესტირება არც მას გაუმართავს.

„ფერარიმ“ წინა კვირაში მარინელოში წარმოადგინა ახალი მოდელი „ფერარი 310B“ და პირველი ტესტიც ჩაატარა. ახალი ბოლიდი შარშანდელი მოდელის ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს. შენარჩუნებულია უკანა ნაწილის კონსტრუქცია, შეკიდულობა და 7-საფეხურა გარდიგადმო გადაცემათა კოლოფი. ამან შარშან მექანიკოსებიცა და პილოტებიც გვარიანად გააწამა, მაგრამ სირთულეები წარსულს ჩაბარდა. ისიც სათქმელია, რომ შუა სეზონში მანქანებზე ახალი, გრძივი გადაცემათა კოლოფი დამონტაჟდება.

დაწყებულია შარშანდელი 10-ცილინდრა ძრავის ახალი მოდიფიკაციის სატრასო ტესტებიც. ამბობენ, მას მეტი ცხენისძალა და ელასტიურობა ჰირდებაო.

„ფერარის“ პირველმა პილოტმა მიხაელ შუმახერმა პირველ დღეს ათიოდე წრე გაიარა ფერარის ტრასაზე, ბოლიდით კმაყოფილი დარჩა და განაცხადა: „შარშან ჩემთვის მოსალოდნელი იყო ზოგიერთი პრობლემის გამოჩენა. სამწუხარო იქნება, თუ ეს წელსაც გაგრძელდება — წელს ხომ პროგრესს ველით. „უილიამსი“ წელსაც ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი იქნება, მაგრამ მათ ჩვენ უფრო დავუახლოვდებით“.

„ფერარის“ წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ბოლიდის ადრეულად მომზადება მათ შეაძლებინებს ტესტირებისთვის მეტი დროის დათმობასა და ახალი ავტომობილის „საყმაწვილო სენის“ ალმოფხვრას.

საკუთარ ტრასაზე ტესტების სრულყოფილად ჩატარებაში „ფერარის“ ხელი ავდარმა შეუშალა: მოთოვა და ტრასა 4 სმ სიმაღლის თოვლმა დაფარა. ვარჯიშები შეწყდა. იტალიური გუნდი შემდგომ ტესტებს ესპანეთში, ხერესის ტრასაზე გააგრძელებს. პირველ ვარჯიშებს ედი ირვინი ჩაატარებს, შემდეგ კი საქმეში „შუმიც“ ჩაებმება. ამ წყვილს სეზონის დაწყებამდე მეტი მუშაობა მოუწევს, რადგან „ფერარის“ ტესტ-პილოტი ნიკოლა ლარინი შარშანდელი ძრავების კვალად „ზაუბერში“ გადაბარგდა.



ჰილს ერთობ მოსწონს ახალი „ეროუზი“

სიახლეებია სხვაგანაც. „ჯორდანში“ რალფ შუმახერს მხარს იტალიელი ფიზიკელა დაუმშვენებს. ამან სპონსორი ვერ იშოვა, რათა კვლავაც „მინარდის“ ღირსება დაეცვა. ფიზიკელას მიერ შემადგენლობიდან გაძევებულმა მარტინ ბრანდლმა ავტოსპორტს თავი ანება და ტელეკომენტატორობას მიყო ხელი. ედი ჯორდანი კმაყოფილი დარჩენილა შენაძენით, ესაო და ახალი პილოტი ტექნიკურად ძლიერია, არც მონდომება აკლია, ავდარში კი სასწაული სიჩაუქე გამოამჟღავნაო.

ახალი ბოლიდი „ეროუზ-იამაჰა-A-12“ წარმოადგინა ტომ უოკინშოუმაც, რომელმაც გუნდი შარშანლა შეიძინა. მსოფლიოს ჩემპიონი დეიმონ ჰილი აღტაცებას არ მალავდა ახალი მანქანის გამო. მას „სექსუალურიც“ კი უწოდა ბოლიდს და, რაც მთავარია, წელს თურმე მინიმუმ ერთი გამარჯვების მოპოვებასაც აპირებს.

„ვიცი, რომ შემიძლია მოვიგო ამ ავტომობილით. სამუშაო ბევრი და მძიმე იქნება, მაგრამ არასოდეს მქონია უფრო მეტი მოტივი. გამარჯვება კვლავაც მსურს. ნასიამოვნები ვარ შარშანდელი წარმატებებით და მსურს კვლავ წავიწიო წინ უკანდახევის — „ეროუზში“ გადასვლის შემდეგ“ — უთქვამს ჰილს.

მსოფლიოს ჩემპიონმა ისიც დასძინა, რომ ილუზიები არ აწუხებს და არც ელის, რომ პირველსავე ეტაპზე, 9 მარტს, მელბურნში, რბოლას თავში მოექცევა. „ეროუზის“ ტესტები ამ კვირაში დაიწყება „სილვესტოუნზე“, შემდეგ კი სამხრეთ ესპანეთში გაგრძელდება.

ალეკო ჟაბუკიანი

## ჩოგბურთი

# საშელბურნოდ ასე ემზადნენ

Ford Australian Open

ავსტრალიელები ვაჟკაცი ხალხია. რაც უნდა იყოს, კატორღელთა შთამომავლები არიან. ჰოდა, სპორტშიც კაცურად იქცევიან ხოლმე: გუშინ მელბურნის პარკში მდებარე ეროვნულ საჩოგბურთო ცენტრში დაწყებული თავიანთი ქვეყნის ღია პირველობის წილისყრა პირველად ანდეს მიუკერძოებელ კომპიუტერს, ძლიერთა განთესვა კი ზედმიწევნით ზუსტად მიაყოლეს რეიტინგებს. აკი კარგად ახსოვდათ შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობის ამბავი, როცა მასპინძლებს ბევრმა განთესვის ჩაწყობა დააბრალა, განაწყენებულმა რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა კი საერთოდ აღარ ითამაშა.

კაფელნიკოვი ვერც ამჯერად ასპარეზობს, ოღონდაც სულ სხვა მიზეზით. ოფიციალური ვერსიით სოჭელ ქენიას ხუთშაბათს, თავისი სასტუმროს ჯიმში (ტრენაჟორების დარბაზში) ხელი სტკენია, მავანი ჭორიკანა გაზეთის ცნობით კი მსოფლიოს მეოთხე ჩოგბურთელი მისსავე ონავრობას დაუღალატებია — მუშტი კედლისთვის დაუკრავს და ნეკი ისე მოუტეხია, რომ ექვსი კვირა გაუცდება.

თუ ყველაფერი განთესვის მიხედვით მოხდება, ანუ ძლიერი სუსტს უსიკვდილოდ დაამარცხებს, მერვედფინალში ქალთაგან უნდა შეიბნენ: შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — ამანდა კეტცერი (სამხრ. აფრიკა, 12), ბრენდა შულც-მაკგაფი (აშშ, 10) — ლინდზი დავენპორტი (აშშ, 7); კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3) — საბინე აპელმანსი (ბელგია, 16), ელენა ლიხოვცევა (რუსეთი, 13) — ანკე ჰუბერი (გერმანია 5)

ირინა სპირლეა (რუმინეთი, 8) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი, 9), იუდით ვიზნერი (ავსტრია, 11) — მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 4); ივა მაიოლი (ხორვატია, 6) — მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 14), ჩანდა რუბინი (აშშ, 15) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 2),

ვაჟთაგან კი: პიტ სამპრასი (აშშ, 1) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი, 15), ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 10) — ვეინ ფერეირა (სამხრ. აფრიკა, 8); გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 3) — იან სიმერინკი (ჰოლანდია, 13), ჯიმ კურიე (აშშ, 11) — თომას მუსტერი (ავსტრია, 5)

ბორის ბეკერი (გერმანია, 6) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი, 12), ფელიქს მანტია (ესპანეთი, 14) — მალივაი ვოშინგთონი (აშშ); თომას ენკვისტი (შვედეთი, 7) — მარსელო რიოსი (ჩილე, 9); მიხაელ შტიხი (გერმანია, 15) — მაიქლ ჩანგი (აშშ, 2)

კაფელნიკოვის ადგილი ვოშინგთონს ერგო, რაკი სხვებზე უკეთესი რეიტინგი ჰქონდა. ქალ ჩემპიონს 433 600 US$ ერგება, ვაჟს — 468 ათასი. შარშან ჩემპიონები მონიკა სელეში (აშშ) და ბეკერი იყვნენ. სელეში წელს ტრავმის გამო ვერ თამაშობს.

ვარსკვლავებმა წინა კვირაში ორგან შეიმოწმეს მზადყოფნა. მელბურნშივე, კუიონგის კორტებზე საჩვენებელი „კოლონიალ კლასიკი“ გამართა რვა გამოჩენილმა ვაჟმა, სიდნეის „ვაით სითიში“ კი ქალთა და ვაჟთა საერთაშორისო ტურნირები მოეწყო, წინათ ახალი სამხრეთი უელსის ღია პირველობა რომ ერქვა.



გამარჯვებით აცუნდრუკებულ ჩანგს ხალხი ტაშით რომ ესალმება, სამპრასს ყურები დაუცავს, ჰინგისი კი მორიგი ტურნირის მოგებით რომ ხარობს, ძლეული კაპრიატი ცოტა ნირწამხდარი ჩანს

როიტერს-ის ფოტოები (სიდნეი, მელბურნი)

კუიონგში თამაშები ხისტ, „რიბაუნდ ეის“-ად ცნობილ საფარზე გაიმართა. ასეთივეა დაგებული ეროვნულ ცენტრშიც. თამაშდებოდა ყველა ადგილი, მაგრამ ტრავმებმა რამდენიმე თამაში ჩაშალა.

მეოთხედფინალი (8. I): სამპრასი — შტიხი 6:4, 7:5; ბეკერი — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 7:6 (7-3), 6:1; ჩანგი — ენკვისტი 7:5, 6:4; კაფელნიკოვი — კურიე 7:6 (10-8), 6:4. რუსს ჭყეტელა ყვითელი წალები ეცვა, ენკვისტს კი მარჯვენა ხელი დაუწყლულდა. კურიემ იტკინა ფეხი. კაფელნიკოვისა უკვე ვთქვით. ჰოდა, მეორე ნახევარფინალში (10. I) უთამაშებლად დანებდა სამპრასს, ჩანგმა კი პირველში (9. I) 2:6, 6:4, 7:6 (7-5) აჯობა ბეკერს.

ფინალი შაბათს (11. I) გაიმართა, რათა მონაწილეებს გუშინდლისთვის დასვენება მოესწროთ. ჩანგმა საათსა და 35 წუთში 4:6, 6:4, 6:2 დაამარცხა სამპრასი, რომელიც შეაწუხეს ქარმა და ბუზებმა. ამით ჯიშით ჩინელმა მაიქლმა ზედიზედ მესამედ მოიპოვა ლეგენდარული ლუ ჰოუდის თასი: ფინალში შარშან კაფელნიკოვი ძლია, შარშანწინ — სამპრასი. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ორი კვირის თავზე, ღია პირველობის ფინალშიც კვლავ სამპრასი და ჩანგი შეიბნენ.

სიდნეიში რომ ჩავიდა, 20 წლის ჯენიფერ კაპრიატიმ (აშშ) ჟურნალისტებს უსაყვედურა, ჩემი ბნელი წარსული (ხელმრუდობა, ბოზობა, ნარკომანობა) ჩემივე პირადი საქმეა, შეკითხვები კი, კეთილი ინებეთ და ოდენ ჩოგბურთზე დამისვითო, რაკი ამჟამად მითი ვსულდგმულობო.

მართლაც, ჯენიმ ზედიზედ გაისტუმრა ჩანდა რუბინი (აშშ) 6:3, 4:6, 6:3; რენე სიმფსონი (კანადა) 6:3, 6:2; ემი ფრეზერი (აშშ) 6:4, 6:1 და ლინდზი დავენპორტი (აშშ, 4) 2:6, 6:4, 6:2. ეს მატჩი იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ ბარსელონის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ატლანტისას მოუგო.

ჯენიმ ბოლო ტიტული ამ ოთხი წლის წინ სწორედ რომ სიდნეიში მოიპოვა, მაგრამ ამჯერად შაბათის ფინალი 84 წუთში 6:1, 5:7, 6:1 წააგო 16 წლის ჰინგისთან (2), ვინც კარიერის მესამე ტიტული მიითვალა. ნორჩმა მარტინამ ნახევარფინალში 6:3, 6:2 დაამარცხა მ. ჯ. ფერნანდესი, ამან კი მეოთხედფინალში ძლია მაიოლი (3) 7:5, 6:4. პირველ ნომრად განთესილი სანჩეს-ვიკარიო პირველსავე წრეში გაგდო ფრეზერმა 6:3, 6:3.

ვაჟთა შეჯიბრში დიდი ხნის საწადელი აისრულა ბრიტანელმა თიმ ჰენმანმა. მან ერთი კვირის წინაც გატეხა ნავსი, როცა ყატარის პირველობაზე ფინალში გააღწია, სიდნეიში კი ბოლო ზღუდეც დაძლია და 22 წლისამ 20 წლის ესპანელი კარლოს მოიას 6:3, 6:1 ძლევით კარიერის პირველი ტიტული მოიპოვა.

ჰენმანმა ნახევარფინალში თვით ივანიშევიჩი (1) დაამარცხა 4:6, 7:6 (7-1), 6:1. მსოფლიოს მესამე ჩოგან გორანს თამაშისადმი ინტერესი ბოლო ხელში მთლად გაუქრა, მანამდე კი ერთი ტურნირის მანძილზე კორტზე ჩოგნის მეორედ დახეთქებისათვის კვლავ გაფრთხილება დაიმსახურა, ბოლოს კი პრეს-კონფერენციის გაცდენისათვის ჯარიმაც დაეკისრა.

მოიამ ნახევარფინალში თანამემამულე ა. კოსტა (3) 3:6, 6:3, 7:6 დაამარცხა, პირველ წრეში კი ფერერა (2) გააბურძგლა 2:6, 6:0, 6:3.

## მთის თხილამურები

# იგივენი: ვიბერგი და სიკორა

მსოფლიო თასის ეტაპი ხანდისხან შუა კვირაშიც იმართება: დღეს ადელბოდენში (შვეიცარია) ვაჟთა გიგანტური სლალომია.

აქამდე გამართული 17 ეტაპის ჯამი: მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიცარია) 497 ქულა; თომას სიკორა (ავსტრია) 482; ჰანს კნაუსი (ავს) 468; ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) 451; კრისტიან გედინა (იტალია) 415; ლიუკ ალფონი (საფრანგეთი) 397; გიუნთერ მადერი (ავს) 361; იოზეფ შტრობლი (ავს) 332; სტივ ლოჰერი (შვეი) 307; ზიგფრიდ ფოგლრაითერი (ავს) 303; ატლე სკაარდალი (ნორ) 297; თომას შტანგასინგერი (ავს) 280; ...

11. I. შამონი (საფრანგეთი). დაშვება: 1. გედინა; 2. სკაარდალი 0,01; 3. ვერნერ ფრანცი (ავს) 0,11; 4. ვილიამ ბესე (შვეი) 0,38; 5. ალფონი 0,47. შამონი მონბლანის ძირში მდებარეობს. იქაური „ლეზუშის“ ტრასა ერთობ რთულია — ფიჭვნარში გადის, მიხვეულ-მოხვეულია და ორ დიდ ტრამპლინსაც შეიცავს.

გედინამ ვარჯიშებზე რომ ვერ ივარგა, ერთობ ლაღად დაეშვა და ამ სეზონში მეორედ, სულ კი მეექვსედ გაიმარჯვა. ამით მან გაუსწრო თანამემამულე ჰერბერტ პლანკს, 70-იან წლებში დიდ ავსტრიელ ფრანც კლამერთან პაექრობაში ხუთი დაშვება რომ მოუგია.

დაშვების მსოფლიო თასის ლიდერი ალფონი ტრასის ზედა მონაკვეთზე კინაღამ დაეცა, მაგრამ იმდენი ქულა მაინც მოიხვეჭა, რომ ისა და გედინა ხუთი ეტაპის ჯამში 365 ქულით ტოლად იყვნენ.

მძიმედ დაშავდა გერმანელი ბერნი ჰუბერი. მან მკლავი და ნეკნები მოიტეხა, მუხლის მყესები დაიწყვიტა და შვეულმფრენით ჰოსპიტალში გადაიყვანეს. 8-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს აშშ-ის ნაკრების მწვრთნელს, 49 წლის ულრიხ ლუთის, რომელიც პოლიციელს გატეხილი თხილამურის გამო წაეკიდა და გაარტყა.

12. I. იქვე. სლალომი: 1. სიკორა; 2. შტანგასინგერი 1,66; 3. მარტინ ჰანსონი (შვედეთი) 2,02; 4. ფონგრენიგენი 2,11. აქამდე ლიდერი კნაუსი იყო, მაგრამ 28 წლის სიკორამ ზედიზედ მესამე სლალომიც უსიტყვოდ რომ მოიგო, ხუთის ჯამში 200 ქულით გაუსწრო შტანგასინგერს და კნაუსსაც გადაუსწრო. და მაინც, აბსოლუტურ პირველ ადგილზე ფონგრენიგენი გადავიდა.

დიდ იტალიელ ალბერტო ტომბას I ცდის შემდეგ II ადგილი ეჭირა, მაგრამ მერე გრიპმა შეუტია. ჰოდა, მეორედ აღარ დაშვებულა და არც დღეს იასპარეზებს.

სეზონში პირველად მოხერხდა დაშვებისა და სლალომის შეთავსება. ამგვარ კომბინაციაში საუკეთესო ჯამი მადერს აღმოაჩნდა.

ქალთა მსოფლიო თასი (15 ეტაპის შემდეგ): პერნილა ვიბერგი (შვედეთი) 863 ქულა; კატია ზაიცინგერი (გერმანია) 649; ჰილდე გერგი (გერ) 583; დებორა კომპანიონი (იტალია) 395; ანიტა ვახტერი (ავსტრია) 365; ურსკა ჰროვატი (სლოვენია) 359; იზოლდე კოსტნერი (იტ) 346; მარტინა ერთლი (გერ) 340; ჰაიდი ცურბრიგენი (შვეიცარია) 304; კლაუდია რიგლერი (ზელანდია) 289; ...



10. I. ბად-კლაინკირხჰაიმი (ავსტრია). დაშვება დაწყებიდან 45 წუთის შემდეგ შეწყდა, რადგან თოვამ მოუხშირა და ნისლიც ჩამოწვა. არადა, ეს ეტაპი დეკემბერში, კრანს-მონტანაში (შვეიცარია) ჩაშლილის სანაცვლოდ დაენიშნათ.

11. I. იქვე. დაშვება: 1. ცურბრიგენი; 2. გერგი 0,36; 3. შტეფანი შუსტერი (ავს) 0,73; 4. რენატე გეჩლი (ავს) 0,74; 5. ვიბერგი 0,77; ... 10. ზაიცინგერი 1,36. მასპინძლებს წინა დღის სლალომის გამართვაც სურდათ, მაგრამ ისევ ნისლმა აურიათ გეგმები.

29 წლის ცურბრიგენი მსოფლიო თასზე 1985 წლიდან ასპარეზობს, მაგრამ ოდენ მეორედ გაიმარჯვა. სეზონის სამი დაშვების ჯამში ზაიცინგერს 206 ქულა აქვს, გეჩლს — 182, ცურბრიგენს — 169.

12. I. იქვე. სუპერ-გიგანტი: 1. ვიბერგი; 2. კოსტნერი 0,28; 3. ზაიცინგერი 0,36; 4. გერგი 0,52. 26 წლის უნივერსალმა ვიბერგმა (ფოტოზე) ეტაპი მე-17-ედ მოიგო, სუპერ-გიგანტი კი — მესამედ.

## რალი

# ნახევარი გალიეს

დაკარი — აგადესი — დაკარის აფრიკულ რალიში ნახევარი გზა გაილია. კვირას მონაწილეებს შუაგულ ნიგერში დასვენების დღე ჰქონდათ.

V ეტაპი (8. I; ტიმბუქტუ — გაო; 415 კმ) ფრანგმა ჟან-პიერ ფონტანეიმ (მიცუბიში) რომ მოიგო, მისი თანაგუნდელი და თანამემამულე ბრიუნო საბი 9 წამსლა უგებდა იაპონელ კენძირო შინოზუკას (ასევე მიცუბიში). მოტოციკლთაგან ამ ეტაპზე გაიმარჯვა ფრანგმა თიერი მანიალდიმ (პტმ), ლიდერად კი მისი თანამემამულე სტეფან პეტრანსელი (იამაჰა) დარჩა.

VI ეტაპზე (9. I; გაო, მალი — მენაკა, ნიგერი; 404 კმ) მანქანა დაემტვრა და გავარდა მიცუბიშელთა ლამის ერთადერთი კონკურენტი, ფრანგი ჟან-ლუი შლესერი (ბაგი), ვინაც 15 წუთს აგებდა ლიდერთან. მის შტურმან ფილიპ მონეს მაჯა მოტყდა. გაიმარჯვა შინოზუკამ და ორ-ნახევარი წუთით გაუსწრო ფონტანეის, საბი კი მესამე ადგილზე აღმოჩნდა. პეტრანსელმა ისევ მოიგო და საათითა და 15 წუთით გაუსწრო უახლოეს მდევარს — ესპანელ ხორდი არკარონს (კტმ).


„სარბიელში“

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90


VII ეტაპი (10. I; მენაკა — ტაჰუა; 381 კმ), მთლიანად ჩქაროსნული რომ იყო, ისევ ფონტანეიმ მოიგო და შინოზუკას 21 წამამდე წამოეწია. მოტოციკლებში გაიმარჯვა ესპანელმა კარლოს სოტელომ (კაჯივა).

VIII ეტაპზე (11. I; ტაჰუა — აგადესი; 575 კმ) შინოზუკამ თავი საჭეს დასცხო და მანქანის ბამპერიც დალეწა, მაგრამ წინა დღის დანაკლისი მაინც აინაზღაურა და 1.42-ით გაუსწრო ფონტანეის და 11.38-ით — საბის. პეტრანსელმა მეექვსედაც მოიგო ეტაპი და არკარონი საათით, 23 წუთითა და 25 წამით მოიტოვა.

ირაკლი ნინუა


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29